ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის ოთხშაბათს და შაბათს | №11 (1641) | 10 – 13 თებერვალი 1998 წ. | ფასი 50 თეთრი

ედუარდ შევარდნაძე:

სასწაული ხდება მხოლოდ უზენაესის ნებით

– ეს სიტყვები განაცხადა წუხელ, დაუნდობელი თავდასხმის შემდეგ მართლაც სასწაულის ძალით გადარჩენილმა საქართველოს პრეზიდენტმა და იქვე დასძინა: „ალბათ უზენაესი ხედავს რომ არც ძალას, არც ენერგიას, არც ცოდნას, არც გამოცდილებას არ ვიშურებ ჩემი ქვეყნისათვის, ჩემი ხალხისათვის, და როგორც იტყვიან, ის მშველის ასეთ კრიზისულ სიტუაციებში“

თუ ეს ტერაქტიც არ გახდა ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში გარდატეხის დასაწყისი, თუ კიდევ ატყდა ვაკჰანალია, – არიქა, შევარდნაძემ თავის თავს მოუწყო ეს ტერაქტიცო, თუ კიდევ ერთხელ იხითხითა ქვეყნის უბედურებაზე ვენდეტის გრძნობით შეპყრობილმა საზოგადოების ერთმა ნაწილმა, ჩვენ მართლა დასაღუპავად განწირული ხალხი ვყოფილვართ.

უფალო, გადაარჩინე საქართველო ამდენი შინაური და გარეშე მტრისაგან.

„საქართველო“-ს რედაქცია



ეს პირველი ტერაქტის ფოტოა, გუშინდელი ტერაქტის ფოტოს მომზადება ფიზიკურად ვერ მოვასწარით

სამძიმარი

გაზეთ „საქართველო“-ს რედაქცია სამძიმარს უცხადებს გმირულად დაღუპულ კახა შევარდენიძის ოჯახს.

„კვირაიას იარაღიანი ხელი დავუკავე“

მეთორმეტე გვერდი

ოჰ, ეს მაოხრებელი გზირი

მეშვიდე გვერდი

მიხეილ მაჭავარიანი:

ზოგს ბრეჟნევი ვგონივარ

მეოთხე გვერდი

ამ კაცის გაუბედურება ჩემი ბრალი არ არის, ღმერთო!

(1998 წლის 10 თებერვალს სასამართლოზე წარმოსათქმელი სიტყვა)

ნოდარ გრიგალაშვილი

2 3

ხმა სამარიდან

მეშვიდე გვერდი

ამ კაცის გაუბედურებაში ჩემი ბრალი არ არის, ღმერთო!

(1998 წლის 10 თებერვალს სასამართლოზე წარმოსათქმელი სიტყვა)

ნოდარ გრიგალაშვილი

„გამაიმუნებული ადამიანის ცნობა გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე კაცადქცეული მაიმუნისა...“

ნოდარ დუმბაძე
„მარადისობის კანონი“

ძვირფასო მოსამართლევ, მსაჯულებო, დარაჯებო და სეირის მაყურებელო მოქალაქენო, ვიდრე ვინმე მამაცაშვილის საჩივრის საფუძველზე ჩემს გასამართლებას დაიწყებდეთ, ალბათ, მოგიწევთ აუცილებელი ფორმალობის დაცვა და შემეკითხებით:

– ბატონო გრიგალაშვილო, სამართალში თუ ყოფილხართ მიცემული?

– სამართალში მიცემისა რა მოგახსენოთ, მაგრამ სასამართლოზე ყოფნის „ბედნიერება“ დღემდე სამჯერ მქონდა.

სამივე შემთხვევაში სხვა მიჩიოდა.

თანმიმდევრულად მოგახსენებთ, სამივეჯერ როგორ გაუბედურდნენ ჩემნი მომჩივანნი.

პირველად 1990 წელს (თვე და რიცხვი აღარ მახსოვს) მივიღე უწყება მთაწმინდის რაიონის სასამართლოდან.

ჩემს დაჭერას ითხოვდა სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთი ცნობილი პროფესორი, კათედრის გამგე, მეცნიერებაში მტკიცე ლენინელი.

ამ კაცის ნაშრომზე დავწერე რეცენზია, რომელიც შევიტანე ჩემს ერთ-ერთ წიგნში – „აი, ვინ გვარცხვენს“.

გააფთრებულმა მეცნიერმა სასამართლოს კატეგორიულად მოსთხოვა ჩემი დასჯა. მე გადმოვიღე ამ „მეცნიერის“ ნაშრომი და დავიწყე მისივე ციტატების კითხვა.

მეცნიერი სვამდა კითხვას: „რატომ შექმნა ბუნებამ კურკოვანი მცენარეები – ატამი, ჭერამი ასეთი ლამაზი და მომხიბვლელი ფერებით?“ და იქვე იძლეოდა მარქსისტულად გამართულ მეცნიერულსავე პასუხს:

– „რა თქმა უნდა, ჩიტების მიტყუება–მიზიდვისათვის“–ო.

ისეთმა სერიოზულმა მოსამართლემ, როგორიც ქალბატონი ნაირა ხაბულიანი გახლავთ, თავი ველარ შეიკავა და ატყდა სიცილი.

ახლა მდივან გოგონებს აღარ იკითხავთ?

რაკი მოსამართლემ გაიცინა, ისინი მთლად გადაბუირდნენ.

ის პროფესორი დარბაზიდან თავქუდმოგლეჯილი გაიქცა.

ასე დამთავრდა პირველი სასამართლო პროცესი.

●●●

1991 წელს იმუამინდელი უზენაესი საბჭოს დეპუტატმა ავთანდილ რცხილაძემ გვიჩივლა მე და ბატონ თამაზ წივწივაძეს.

უწყება ვაკის სასამართლოდან მომივიდა.

შედეგი გახლდათ ასეთი: ტყუილად მოვაცდინეთ ჩვენი ადვოკატები, ისეთი გამოჩენილი იურისტები, როგორებიც არიან ბატონი თედო ნინიძე და ქალბატონი ბელა სირბილაძე.

მომჩივანი ავთანდილ რცხილაძე ვერაფრით სასამართლოში ვერ შემოვიტყუეთ და იგი დღესაც ძირითადად მედოლის (რის გამოც გვიჩიოდა) მეტსახელით მოლვაწეობს უდრტვინველად...

●●●

მესამედ 1997 წელს მიჩიელა უშიშროების მინისტრმა შოთა კვირაიამ, ოღონდ, ამჯერად რესპუბლიკის პროკურატურაში.

შედეგი: მინისტრი აღარ ზის თავის ადგილზე, მე კვლავ „საქართველოს“ ვრედაქტორობ საქართველოში, და არა „ვრედაქტორობდი“, როგორც ამ ვინმე მამაცაშვილს ეოცნებება.

●●●

პატივცემულო საზოგადოებავ, როგორც ხედავთ, სიმართლე ის ძალაა, რომელმაც სამი ხელისუფლების – კომუნისტების, გამსახურდიას და შევარდნაძის სამ რჩეულ, საყოველთაოდ ცნობილ და თავიანთი ხელდამსხმელების წინაშე დიდად დამსახურებულ პირებთან გამამარჯვებინა.

ეს საყოველთაოდ უცნობი და ცრუ მამაცაშვილი კი ოპტიმისტურ ნოტაზე, გამარჯვებულის იერით აცხადებს ჩემივე გაზეთიდან – „უსტარი ესე ნოდარ გრიგალაშვილს, გაზეთ „საქართველოს“ რომ რედაქტორობდა“–ო...

როგორ არ გავიხსენო, დიდმა გალაკტიონმა რომ დასცინა ერთ ეგზალტირებულ საბჭოთა პოეტს გადაჭარბებული ოპტიმიზმის გამო:

ამხანაგებო, ბაირონი იყო ლორდი, ბაირონი იყო ულამაზესი ჭაბუკი, ბაირონი იყო გენიოსი, მაგრამ ბაირონი იყო პესიმისტი, რა აქვს საოპტიმისტო ამ საცოდავ პოეტსო.

ჩემი პირველი მომჩივანი იყო პროფესორი და კომუნისტურ ეპოქაში გავლენიანი პირი.

მეორე მიმჩივანი იყო დეპუტატი, პრეფექტი და ცნობილი ტრიბუნი.

მესამე მომჩივანი გახლდათ თვით უშიშროების მინისტრი, მთელს საქართველოში ცნობილი პირი და ისინი ვერ მიტევდნენ წინასწარგამარჯვებულის პოზითა და ოპტიმისტური განწყობით.

ქალბატონო მოსამართლევ, იქნებ ამიხსნათ, რა აქვს საოპტიმისტო ამ შეჩვენებულ მამაცაშვილს?..

●●●

არადა, ნახეთ ერთი, სათაურიდან დაწყებული, რა მედგრად იქაჩება:

„შევარდნაძის გადაკიდება გერჩიოთ ჩემსას“–ო.

კეთილო ადამიანებო, ან ამ კაცს მოსთხოვეთ ჯანმრთელობის ცნობა, ან მე გამაგებინეთ, საქართველოს პრეზიდენტზე მეტი რითია ეს გლახა, იმაზე უფრო ამის შიში, რიდი და ხათრი რომ უნდა მქონდეს?!.

რაკი განაცხადი სათაურიდანვე გააკეთა, აქეთ გორასა წიხლსა ვკრავ და იქით გორას ვუზამ ძვრასო, ეშხში შესული, რაღას დაგვზოგავდა:

თქვენი ბინძური ხელები მოადგილეს შეაწმინდეთო, – მე მიწერს, ჩემს მოადგილეზე უფრო თამამად გადაიგულავა – „დოქსოპულო, შენ დედა გყავს“–ო? – ეკითხება. ორივეს ერთად კი სულ ბრდღვინი გვადინა: „მართლაც უნიკალური მოადგილე გყოლიათ, ნოდარ ბატონო, დაკიდების, გადაკიდებისა და თავისი ბინძური ხელების სხვაზე შეწმენდის ოსტატი. შეიძლება თქვენ უარესიც ხართ, თორემ ასეთ კაცს მოადგილედ გააჩერებდით?“

თქვენ წარმოიდგინეთ, ერთგან კეთილი სიტყვაც წამოსცდა, თუმცა უანგაროდ არც ეს ჩაუდენია, გთავაზობთ ციტატს: „ორიოდე თვის წინ, ჩემივე გაზეთის მაკეტიდან თქვენი წიგნის რეკლამა ამოვიღე, (სურვილი მქონდა, კოლეგიალური გვერდში დგომა აღმომჩინა თქვენთვის). არადა, წიგნს რას ვერჩი. ავტორისგან განსხვავებით, ხალხს არ ატყუებს და რაც მთავარია, კარგია! (ამაზედაც გმადლობთ უფალო. ნ.გ.) ახალ ნომერში („სტუდენტური“ №1) ნამდვილად იხილავთ თქვენივე წიგნის რეკლამას. ხოლო თუ ჩემს კეთილშობილურ ჟესტს თქვენივე კეთილშობილური ჟესტი მოჰყვება თანხის გადახდისა, უარს ნამდვილად არ გეტყვით, დამატებითი ცნობებისათვის კი ჩემს მოადგილეს მიმართეთ!“

ამნაირი აგრესიული და თავხედი მათხოვარი თუ გინახავთ სადმე?

მაგრამ ეს სხვა თემაა, ამ კაცის თავიდან აღზრდას მე ველარ შევძლებ, აქ მხოლოდ მის უზომო ამბიციაზე მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება.

დამატებითი ცნობებისათვის მოადგილესთან რომ მაგზავნის ეს ყმაწვილი კაცი, ეგ არაფერი. სამაგიეროდ მადლიერი უნდა ვიყო, რომ კოლეგიალურად გვერდში დგომა განუზრახავს.

გიორგი ბიჭო, საქართველოში ვინც რედაქტორს დაირქმევს და მოადგილეს დაინიშნავს, ჩემი კოლეგა კი არ არის ყველა.

თქვენ ისეთივე კოლეგა ხართ ჩემი, როგორც იმ ანეკდოტშია, მეგრელი რომ ეკითხება ტროლეიბუსში მანდილოსანს:

– თქვენც ამ გაჩერებაზე ჩაბრძანდებით, ქალბატონო?

– დიახ!

– ოხ, კოლეგავ!

●●●

„თქვენნაირებს არ ვმტრობ. მეცოდებიან“–ო, თავისი წერილის (იხ. „საქართველო“ №9, (1639) ერთ ადგილზე სულ მოგვითავა ხელი და იქვე ჩვენ, „საცოდავებს“, სასამართლოსკენ გვერეკება:

„თუ სილაჩრეს არ გამოიჩენთ, უახლოეს მომავალში პროცესზე გამოცხადდით, „სასამართლო პროცესი“ რომ ჰქვია!“

მაინც რას გვერჩის ეს კაცი?

ჩემი ფოტო რატომ გამოაქვეყნეთ ჩემთან შეუთანხმებლად, თან შეურაცხყოფელი სათაურის თანხლებითო.

კეთილი და პატიოსანი.

ასეთი ქმედების წინააღმდეგი მე თავად ვარ და თუ დანაშაული ჩავიდინეთ, ლანძღვის ღირსიც ვყოფილვართ, პასუხიც უნდა მოგვეთხოვოს.

მაგრამ...

რატომღაც მგონია, რომ ეს კაცი შეურაცხყოფილი კი არ არის, ფულის გამოძალვის მიზნით, შეურაცხყოფილის როლს თამაშობს.

თავად განსაჯეთ

1) გაზეთში დაბეჭდილ გამაიმუნებული არსების ფოტოზე შეუძლებელია კონკრეტული პირის ამოცნობა.

(თვით ფოტო რედაქციამ მიიღო ფოტოს ავტორის თანხმობით. გადაღება ფოტოხელოვანმა ალბათ პროტოტიპის თანხმობით შეძლო, ეს პროტოტიპი იდგა კამერის წინ და პოზირებდა, სხვანაირად წარმოუდგენელია. თუ იგი ფოტოხელოვანმა ბუნებრივ მდგომარეობაში გადაიღო, მაშინ პროტოტიპი ზოოპარკის მომვლელებთან გააგზავნეთ და მე თავი დამანებეთ).

2) აღნიშნული ფოტო გამოქვეყნდა

გაგრძელება მე-3 გვერდზე

მეორე გვერდიდან

ნამდვილ მაიმუნთან ერთად გაზეთ „ასავალ-დასავალში“, ჩვენს პუბლიკაციამდე გაცილებით ადრე. ამაზე პროტოტიპს არანაირი პროტესტი არსად არ გამოუხატავს.

(იხ. „ასავალ-დასავალის“ პუბლიკაცია აქვე)

3) აღნიშნული ფოტო კიდევ გამოქვეყნდა რამდენიმეჯერ, მათ შორის გაზეთ „საქართველოშიც“ ასევე არასასიამოვნო სათაურების თანხლებით, როგორც განზოგადოებული მხატვრული ეფექტის მქონე მასალა.

4) გაზეთ „საქართველოს“ ის ნომერი, რომლის გამოც გვიჩივის მამაცაშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაყიდა მისმა საკუთარმა დედამ, როგორც გაზეთის რეალიზატორმა. უკეთეს შემთხვევაში, უნდა ვივარაუდოთ, რომ პირველ გვერდზე დასტამბულ ფოტოკოლაჟში საკუთარი შვილი მანაც ვერ ამოიცნო.

ჰოდა, დედამ რომ ვერ იცნო ჩემთვის ისედაც სრულიად უცნობი კაცი, მოჩვენებასავით მეცხადება და მამუნათებს – ეს მაიმუნი მე ვარ. შეურაცხყოფისათვის ფული გადამიხადეო.

სიმართლე გითხრათ, გამიჭირდა ამ ანგელოსივით ბიჭისა და ფოტომაიმუნის იდენტურობის დადგენა გარეგნული თვალსაზრისით.

მიუხედავად ამისა, მაინც შევწუხდი და ბოდიში მოვუხადეთ. იურიდიულად ცამდე მართალი ვიყავი, მისმა მდგომარეობამ მაინც შემაწუხა. სწორედ ბოდიშის შემდეგ გადაირია. ეტყობა, იფიქრა, ვაითუ, ბოდიშის შემდეგ ფული ველარ გამოვძალო რედაქციასო. ისე გადაირია, რომ ჩემს მოადგილეს ხომ საჯაროდ აგინა: „დოქსოპულო, შენ დედა გყავსო?“ თავისი ცალტვინობით არც საკუთარი დედა დაინდო, რომელიც ერთი მშრომელი და პატიოსანი ადამიანია.

ნახეთ რას წერს ეს რედაქტორი კაცი, მოადგილეც რომ ჰყოლია...

„იმდენი ქენით, საპროტესტო წერილი მაინც დამაწერინეთ, რა გინდოდათ ჩემგან, კუთხეში ვიჯექი, ჩემთვის და მაწონს ვჭამდი“–ო...

უფრო ქვემოთ კი მოგვახსენებს: „დედაჩემს რა უჭირს, ერთადერთი ვყავარ და ადვილად ამოსაცნობი“–ო.

თუ ამ ფოტოზე, მოქალაქენო, ადვილად ამოსაცნობი შვილია და თან ერთადერთი შვილი გამოსახული, ვაი ჩვენს თავს.

მაგრამ უფრო მეტი უბედურება წინარე ციტატში სწერია:

„რა გინდოდათ ჩემგან, კუთხეში ვიჯექი, ჩემთვის და მაწონს ვჭამდი“–ო, რომ ამბობს, რას ჭამდა, არ ვიცი, მაგრამ დანამდვილებით გეტყვით, კუთხეში კი არა, მამაცაშვილი რედაქტორის სკამზე იჯდა.

მაშ საიდან მოიტანა კუთხეში ჯდომა და მაწვნის ჭამა?

საიდან და ერთი ცნობილი ანეკდოტიდან.

აი, ეს ანეკდოტიც:

კაცი ომიდან ბრუნდება. შინ სამი შვილი დახვდა.

ცოლს ეკითხება:

ეს ბავშვი როდის გაჩნდაო.

ეს შვებულებით რომ გამოგიშვეს, მაშინო.

ეს მეორეო?

მეორე, დაჭრილი რომ იყავ და გამოგიშვეს, მაშინაო.

ამ კაცის გაუბედურება ჩემი ბრალი არ არის, ღმერთო!

ეს მესამეო?

ცოლმა ველარაფერი მოიფიქრა და ესღა უთხრა:

რას ერჩი, კაცო, მაგ ბავშვსა, შეხედე, ზის კუთხეში თავითვინა და ჭამს მაწონსაო...

ჰოდა, მამაცაშვილიც ასე წერს, რას მერჩოდით, ვიჯექი ჩემთვის კუთხეში და ვჭამდი მაწონსაო...

უცნაური ამბავია, მე ამ კაცს ვეველრები, არ ხარ მაიმუნი და ნუ იმაიმუნებ თავს–მეთქი.

ის თავის მაიმუნობას მაინც არ იშლის.

მე ამ ყმაწვილს ვუხსნი – მშრომელი და პატიოსანი დედის შვილი ხარ–მეთქი.

ის შავით თეთრზე წერს: „რა გინდოდათ ჩემგან, კუთხეში ვიჯექი ჩემთვის და მაწონს ვჭამდი“–ო...

რა გაეწყობა, დავამთავრებ ამ ჩემს გამოსვლას, ოღონდ მცირეოდენ ეჭვს მაინც ვიტოვებ იმისა, რომ ნოდარ დუმბაძის „მარადისობის კანონიდან“ მოხმობილ ერთ სიუჟეტში თავის თავს არ აღმოაჩენს მამაცაშვილი.

აი, ეს სიუჟეტიც: „ამას წინათ, ზოოპარკიდან სამი მაიმუნი გაქცევიათ. მილიციის უფროსს სასწრაფოდ მოუწვევია ოპერატიული ჯგუფი და სხდომა ჩაუტარებია, თუ როგორ შეეპყროთ გაქცეული მაიმუნები. ცოტა სიტყვა გაგრძელებია, მაშინ ერთ–ერთი მილიციელი ამდგარა და უფროსისათვის უთქვამს:

– ამხანაგო პოლკოვნიკო, ცოტა სიტყვა შეამოკლე, თორემ ის მაიმუნები ხალხში გაერევიან და მერე ჩემს ფეხებს ვიპოვითო!

– მერე რა მოხდა? – დაინტერესდა მამა იორამი.

– ორი მაიმუნი უცებ დაუჭერიათ და ერთს მგონი ეხლაც დაეძებენ – უპასუხა ბაჩანამ“.

ნეტავ რამდენი წლის იყო მაშინ ის მაიმუნი?..

ეროვნული ინფორმაციის ბიურო

ნეოკრეატი

პრეს-სამსახურები არაეფექტურად მუშაობენ

ორშაბათის რადიო-ინტერვიუში პრეზიდენტმა უკმაყოფილება გამოთქვა კანცელარიის, ეკონომიკის, ფინანსთა, სოფლის მეურნეობისა და სურსათის, მრეწველობის სამინისტროების, ასევე პრეს-სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებით, რადგან მიაჩნია, რომ ისინი თავს მოვალედ უნდა თვლიდნენ, განუმარტონ მოსახლეობას – რას მიაღწია ქვეყანამ, რას ვერ მიაღწია და რატომ.

სახელმწიფოს მეთაური კვლავაც შეეხო კორუფციასთან საბრძოლველად პრეზიდენტთან შესაბამისი კომისიის შექმნის აუცილებლობას, რომელიც მაღალკვალიფიციური კადრებით დაკომპლექტდება. (იფრინდა)

გახშირდა ნიკო ლეკიშვილის ვიზიტები სოხუმში

10 თებერვალს თბილისიდან სოხუმში გაემგზავრება საქართველოს სამთავრობო დელეგაცია სახ.მინისტრის ნიკო ლეკიშვილის ხელმძღვანელობით.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან კავშირგაბმულობის მინისტრი ფრიდონ ინჯია, სახელმწიფო კომპანია „საქენერგო“-ს გენ.დირექტორი ემზარ ჩაჩხიანი, საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის ხელმძღვანელი გიორგი ჭანტურია და რამდენიმე ენერგეტიკოსი.

სოხუმში ვიზიტისას დაგეგმილია ენგურჰესთან დაკავშირებული, კავშირგაბმულობის და სხვა ტექნიკურ საკითხთა განხილვა. კერძოდ, სავარაუდოდ, საუბარი შეეხება აფხაზეთისათვის დამატებითი სატელეფონო არხების გამოყოფას. როგორც ცნობილია, დღეისათვის აფხაზურ მხარეს 60 სატელეფონო არხი აქვს.

ვიზიტის დროს ქართული დელეგაცია შეხვდება აფხაზთა ლიდერს ვლ.არძინბას და შესაბამისი უწყებების ხელმძღვანელებს.

საქართველოს სამთავრობო დელეგაცია იმავე დღეს დაბრუნდება თბილისში. (იფრინდა)

ჰუმანიტარული დახმარება გალის რაიონში განაწილდა

ბუშინ აშშ-ს მთავრობის მიერ გამოყოფილი ჰუმანიტარული დახმარება, რომელშიც სამედიცინო სახარჯი მასალები და ბავშვის ტანსაცმელი შედიოდა, გალის რაიონში განაწილდა. ბავშვის 1000 ცალი პალტო გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მიერ აღდგენილ რამდენიმე სკოლას, ხოლო სამედიცინო მასალები ნაბაკევის ამბულატორიას გადაეცა. (გეა)

პარტიების ქვეყანა

მიხეილ მაჭავარიანი:

ზოგს ბრეჟნევი ვგონივარ

მოუსმინეთ ლიდერს!

ჩვენს რუბრიკას აგრძელებს «მოქალაქეთა კავშირის» გენერალური მდივანი მიხეილ მაჭავარიანი.

ბიოგრაფიული ცნობები:

დაიბადა თბილისში 1968 წლის 9 იანვარს. 1984 წელს დაამთავრა თბილისის I საშუალო სკოლა. როგორც თვითონ ამბობს, ორიანი არასოდეს მიუღია და საკმაოდ კარგად სწავლობდა. სკოლის დამთავრებისთანავე მამის პროფესია ირჩია და ჩააბარა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგროქიმია-ნიადაგმცოდნეობის ფაკულტეტზე. 1986-88 წლებში გუდაუთის სამხედრო-საავიაციო პოლკში გადიოდა სამხედრო სამსახურს. ჯარიდან დაბრუნების შემდეგ სწავლა გააგრძელა და ინსტიტუტი წითელ დიპლომზე დაამთავრა. სამუშაოდ ინსტიტუტშივე დარჩა და, რადგან თემა უკვე დამუშავებული ჰქონდა, ასპირანტურაში ჩაბარების გარეშე დაიცვა დისერტაცია. „მოქალაქეთა კავშირში“ 1993 წელს მივიდა და უკვე 1994 წელს ახალგაზრდული კავშირის მთავარ მდივნად აირჩიეს. დღეს იგი პარლამენტის წევრია და „მოქალაქეთა კავშირის“ გენერალური მდივანი.

30 წლის გახდა და მიუხედავად სურვილისა, მრავალშვილიანი ოჯახი ჰყავდეს, ჯერჯერობით უცოლოა. პირად ცხოვრებაზე საუბარს პოლიტიკოსობის საბაბით თავს არიდებს. პოლიტიკაში თავის თავს „მოქალაქეთა კავშირის“ გუნდის გარეშე არ მოიაზრებს და მათ უახლოეს მეგობრებად თვლის. მისი კუმირი, რა თქმა უნდა, ედუარდ შევარდნაძეა და ჩვენი საუბარიც აქედან დაიწყო:

– *რატომ მიგაჩნიათ ედუარდ შევარდნაძე კარგ პოლიტიკოსად?*

– მან იცის რა სჭირდება ქვეყანას, და იმიტომ.

– *ოპოზიცია და ბევრი სხვაც თვლის, რომ იგი სწორად არ მართავს ქვეყანას. ბატონი ნოდარ ნათაძე კი ამბობს, რომ იგი ყველაზე უძლური მმართველია.*

– ფიქრს ვერავის დაუშლი. ბ-ნ ნოდარს პატივს ვცემ როგორც უფროს ადამიანს. მას თავისი გზა აქვს და ამ გზაზე აგრძელებს სვლას. ამიტომ თავის სიმართლით გაუმარჯოს. მე კი პირიქით ვფიქრობ და ასე ფიქრობს უმრავლესობა.

– *მომავალ არჩევნებში ედუარდ შევარდნაძე აპირებს კენჭისყრას?*

– „მოქალაქეთა კავშირი“ მის კანდიდატურას დაასახელებს და ამისათვის უკვე ვემზადებით. ისე კი ყველაფერი მასზეა დამოკიდებული.

– *ედუარდ შევარდნაძე რომ წაიდეს პარტიიდან ან სხვა პარტიაში გადაიდეს, რა მოხდება?*

– „მოქალაქეთა კავშირი“ მისი შექმნილი პარტიაა და ის სხვა პარტიაში არ გადაივა. ზოგიერთს კი ელანდება, მაგრამ როცა გელანდება, პირჯვარი უნდა გადაიწეროთ და „ფუი, ეშმაკსო“ თქვა. ეს აპრობირებული საშუალებაა. დაიწყეს პრესაში თავის სასარგებლოდ ამის ლაპარაკი, მაგრამ არ გაუვიდათ.

– *„მოქალაქეთა კავშირი“ მის გარეშემ, ზევიდან შეიქმნა...*

– „მოქალაქეთა კავშირი“ შეიქმნა როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რადგან ქვეყანაში სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა. 1991–დან 1994 წლამდე იყო ნგრევისა და უბედურების წლები. რაც ყველაზე ცუდია, ყველას ყველაფერზე ხელი ჰქონდა ჩაენეული. მიდიოდა თამაში: დილას სახელმწიფოს მეთაურს პირდებოდნენ მხარდაჭერას, შუადღეზე კი სხვაგან გარბოდნენ. არ იყო სახელმწიფო მდგრადობა. ეს საზოგადოებრივი გაერთიანება შეიქმნა იმიტომ, რომ წინ აღდგომოდა მტერს, ძალა დაენახვებინა. ხოლო მოყვარე შეიძლება იქ მოსულიყო და პრეზიდენტის გვერდზე დამდგარიყო. შევარდნაძე ძლიერი პიროვნებაა და პრინციპები, რასაც დღეს ჩვენ ვაცხადებთ, მასთან გაიგივდა. ეს იყო ძალა, ვისაც შეეძლო ქვეყანა ნორმალური განვითარების გზით წაეყვანა.

– *სხვას არავის შეეძლო?*

– როგორც გამოსწდა, არაფერიც არ შეეძლოთ სხვა პარტიებს. როგორც მახსოვს, იმ დროს ღალატისა და ვერაგობის მეტი არაფერი იყო.

– *მაშინდელ საპარლამენტო უმრავლესობასაც გულისხმობთ?*

– მათ დიდი პატივით ვიხსენებ, მაგრამ პარტია მისი ლიდერისათვის სულ სხვაა, ვიდრე რაღაც კოალიციური უმრავლესობა. მით უმეტეს ვერტიკალის გარეშე. როდესაც კაცს ანგარიში უნდა გაუწიო, რომ ის აკონტროლებს 10 ან 20 კაცს და ამისათვის რაღაცეებს ითხოვს, ეს არაა მდგრადი ქვეყნის აშენების გარანტია.

– *შევარდნაძის გარეშე „მოქალაქეთა კავშირს“ აქვს პოლიტიკური მომავალი?*

– ძალიან მიკვირს, როდესაც ამას მეკითხებიან, ან მეკითხებიან, რა მოხდება, როდესაც ხელისუფლებაში არ იქნებითო. როგორ არ ვიქნებით? მანახეთ აბა ისეთი გუნდი, როგორიც ჩვენ გვყავს. ისინი ყოველთვის იქნებიან ხელისუფლებაში.

– *ეთქვათ, აღარ მოუნდა შევარდნაძეს „მოქალაქეთა კავშირის“ თავმჯდომარეობა ან საერთოდ წაიდა პოლიტიკიდან. მაშინ მიაღწევთ რამეს?*

– გააჩნია, როგორ წარმართავთ მუშაობას. კრიზისი შეიძლება დაიწყოს მაშინ, თუ პარტია ნაჭუჭში ჩაიკეტა.

– *გარედან „მოქალაქეთა კავშირი“ ხელოვნურად გაერთიანებულის შთაბეჭდილებას სტოვებს. ახლა ძლიერი თქვენი ფრთაა და ჭარმაგ წევრებზე დომინირებს. რა მექანიზმით ხდება თქვენი ერთობა?*

– ეს არის მამებისა და შვილების დამოკიდებულება. ჩვენ ბევრს ვკამათობთ და მათი გამოცდილება გვეხმარება. მოჩვენებითი იდილია რაც ადრე იყო, არაა. პრინციპულ პოზიციებში ჩვენ ყოველთვის ერთნაირ პოზიციაზე ვდგავართ. თუ დააკვირდებით, ყოველთვის ერთნაირ პოზიციაზე ვართ.

– *თქვენ ფიქრობთ, რომ „მოქალაქეთა კავშირმა“ შეასრულა თავისი წინასაარჩევნო დაპირებები იმდენად, რომ მას მეორედ აირჩევს ხალხი?*

– ამის თქმა როგორ შეიძლება? გეტყვით რა შეასრულეთ, რა ვერ შეასრულეთ და როგორ შეასრულეთ. რუზველტმა თქვა, რომ პოლიტიკოსები არჩევნებამდე ხალხს პირდებიან და არჩევნების შემდეგ იმის განმარტებას უნდებიან, რატომ ვერ ასრულებენ დანაპირებს. ეს ყველაზე ცუდი რამაა, რაც პოლიტიკოსს და პარლამენტის წევრს შეიძლება დაემართოს.

– *მერე?*

– ჩვენ მოვედით და ჩვენი წინასაარჩევნო ლოზუნგი იყო ქვეყანაში სტაბილურობა და მდგრადი განვითარება. ეს ნიშნავდა საკანონმდებლო, აღმასრულებელი და დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლებების შექმნას – ასევე ხელი უნდა შეგვეწყო სამოქალაქო საზოგადოების შექმნისათვის. და რაც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები უნდა ყოფილიყვნენ თავისუფალი. ასევე სოციალური დაცვა. აქტიური დასაქმება. მილიონი სამუშაო ადგილი. ამის გაკეთება შეიძლება და ეს რეალურია. 2000 წლისათვის ეს იქნება. აქ არა მარტო საცხოვრებელ მინიმუმზეა საუბარი, არამედ შრომის ღირსეულ ანაზღაურებაზე. თუ 5 წლის განმავლობაში ეკონომიკური პარამეტრებით ქვეყანამ ვერ გადადგა ეს ნაბიჯები, მაშინ იგი ვერ იარსებებს. როდესაც 1995 წელს ამბობდნენ, რომ 200 ლარი იქნება ხელფასი, მაშინ ეს უტოპიად ჩანდა. დღეს კი ამბობენ, 200 არაფერი არ არისო. საშუალო ჟურნალისტი 200 ლარს ღებულობს, ხოლო კარგი ჟურნალისტი გაციდებით მეტს, ხომ სწორია? ასევე დეპუტატებიც სიმბოლურ ხელფასს იღებდნენ. ეს არასწორი იყო. არ შეიძლება ქვეყნის ბედს წყვეტდე და იმის ჯიბეზე იყო დამოკიდებული, ვის ბედსაც წყვეტ. ეს მავნე პრაქტიკაა.

– *ყველამ იცის, რა სიტუაციაც არის და თქვენც იცით, რადგან ამბობთ, რომ „მოქალაქეები“ თავის ნაჭუჭში არ ხართ ჩაკეტილი და ხალხში ტრიალებთ. რანაირად ვართ კარგად, როდესაც ერთი მუჭა ხალხი გამდიდრდა, ხოლო მასა გამათხოვრებულია. სადაა კარგი, ღირსეული ცხოვრებისაკენ გადადგმული ნაბიჯი?*

– პრეზიდენტმა სწორად ახსნა, რომ გაუარესებისაკენ არ მიდის საქმე. რაც არ უნდა მეკამათოთ, დარწმუნებული ვარ, რომ ტენდენცია უკეთესობისკენაა, ვიდრე 1992–1993 წლებში. დიახ, ძალიან მძიმე და შეუძლებელიცაა ცხოვრება, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯადოსნური ჯოხის დაქნევით არ გამოსწორდება. მე უმრავლესობაში ვარ და არ მინდა თავის მართლებას დავმგვანოს ჩემი პასუხი, მაგრამ ვის, რომელ პოლიტიკურ ორგანიზაციას შეუქმნია რამე ჩვენს გარდა? თანაც ძალიან რთულ პირობებში, ჩვენ რაღაც მოვახერხეთ და აქ მთავარია ტენდენციები იყოს ძლიერი. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ელემენტარული პირობები ჰქონდეს ჩვენს მოქალაქეებს. ეს იმიტომ კი არ მინდა, რომ მომავალ არჩევნებში გავიმარჯვო, არამედ იმიტომ, რომ ეს არის ქვეყნის უშიშროების გარანტია. თორემ ვიღაც დაანახებს 15 კაპიკიან თვთრ პურს და ხალხიც იმისკენ გაიქცევა და მოტყუდება, რადგან კომუნისტების დროს ვინ ცხოვრობდა კარგად, ვინ მოგზაურობდა და ვინ იყო შეღავათებზე, ძალიან კარგად ეცით.

– *როგორ უნდა მოუხსნა ხალხს ხვალინდელი დღის გაურკვევლობის შიში?*

– ორი წლის წინ იმის გარანტიაც არავის ჰქონდა, რომ სახლიდან გასული შინ მშვიდობით დაბრუნდებოდა.

– *ახლა რა არის?*

– ბრმა შემთხვევა ყოველთვის ხდება, მაგრამ კანონის რანგში აყვანილი ყაჩაღობა აღარაა.

– *თუ პირიქით?*

– ეს კორუფციაა და ჩემთვის ეს თემა ძალიან მტკივნეულია. ერთმა კოლეგამ აბსოლუტურად სწორად თქვა, რომ 1998 წელს კორუმპირებულებმა დაიწყეს შეტევა იმ ხალხზე, ვინც კორუფციის წინააღმდეგ იბრძვის.

– *მამუკა გიორგაძემ?*

– დიახ. რეკლამას არ გაუკეთებ, მაგრამ სიმართლე თქვა.

– *მან სხვა კითხვაც დასვა, პრეზიდენტის ანგარიშის შემდეგ. „1997 წელი კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის წლად იყო გამოცხადებული და ერთი, მაღალი ეშელონის კორუმპირებულიც კი არაა გაშიფრული და დაჭერილი“. ესაა კორუფციასთან ბრძოლა?*

– ფინანსთა სამინისტროს რევიზიების შემდეგ რამდენიმე საქმეა აღძრული ბაზრობებზე და სხვა ობიექტებზე.

– *ეს წვრილმანია.*

– გეთანხმებით, მაგრამ ერთ ცუდ შედარებას მოვიყვან: მაწონს რომ ნაღებს მოხდი და მთელი მასა მის ქვეშეთაა. ასეა ესეც. აქ სხვა მოვლენები დაიწყო და პრობლემაც წამოიჭრა. ესაა „კრიზის“ პრობლემა. არ შეიძლება ხელისუფლებაში მყოფი კაცისაგან ვინმეს სახურავი იყო საკუთარი ჯიბისათვის.

– *მაგრამ ეს ხომ ასეა. თქვენ რომელიმე საწარმოში არა გაქვთ წილი ან აქციები?*

– ერთ რამეს გეტყვით, ძალიან ცუდი, რომ არა მაქვს, მაგრამ არ მექნება მანამდე, სანამ ვიქნები „მოქალაქეთა კავშირის“ გენერალური მდივანი და საქართველოს პარლამენტის წევრი.

– *ესე იგი, საქართველოს ქონებაში არავითარი წილი არა გაქვთ?*

– ვაუჩერი კი მქონდა, მაგრამ...

– *არა, მე სხვა რამეს გეკითხებით.*

– გახსოვთ სკანდალური საქმე ერთ მილიონზე და მე რომ რაღაც მქონდა, ჩემი „კეთილისმსურველები“

გაგრძელება მე-9 გვერდზე

სოხუმში და თბილისში საყმაწვილო სახლები იმუშავებენ

გუშინ აშშ-ის საქმეთა რწმუნებულმა საქართველოში, ლოურენს კერიმ სოხუმში ოფიციალურად გახსნა საყმაწვილო სახლი. მსგავსი სახლების გახსნა თბილისსა და სოხუმში აშშ-ის სპეციალური პროექტით „თბილისი-სოხუმი“ არის გათვალისწინებული, პროექტის ღირებულება 350 ათასი აშშ დოლარია.

თბილისში ანალოგიური სახლი თეის ბოლოს გაიხსნება. აღნიშნული სახლები დეკინილი, ობოლი და ნაკლებუზრუნველყოფილი 10-დან 16 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის არის განკუთვნილი. საყმაწვილო სახლები მოზარდებს ხელოვნების, კომპიუტერის, ინგლისური ენის შემსწავლელ კურსებს შესთავაზებს. პროფესიონალი ჟურნალისტები კი ერთობლივი გაზეთის გამოშვებას უხელმძღვანელებენ, სადაც თბილისელი და სოხუმელი ბავშვების მასალები დაიბეჭდება. ამავე დროს, ფსიქოლოგები მოზარდებს ომისშემდგომი სტრესის დაძლევაში დაეხმარებიან. აშშ იმედოვნებს, რომ აღნიშნული პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს თბილისელ და სოხუმელ ახალგაზრდებს შორის მეგობრული ურთიერთობების გაღრმავებას. (გეა)

შემოსავლების შეუსრულებლობა არავის ეპატიჟება

გუშინ, თბილისის მერიაში მორიგი ოპერატიული თათბირი გაიმართა, რომელზედ ძირითადად ქალაქის გარე ეირსახეზე საგზაო მშენებლობებზე, ადგილობრივი ბიუჯეტის სახელმწიფო შემოსავლებზე ისაუბრეს.

როგორც თათბირზე აღინიშნა, საგეგმო მაჩვენებლები ყველა რაიონმა შეასრულა მთაწმინდის რაიონის გარდა. ამასთან დაკავშირებით, თბილისის მერმა კატეგორიულად მოითხოვა მთაწმინდის რაიონის საგადასახადო ინსპექციის უფროსის, ნოდარ ჭელიძის თანამდებობიდან გათავისუფლება.

„შემოსავლების შეუსრულებლობა არავის ეპატიება, მასზე ბევრი რამაა დამოკიდებული. მათ შორის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხის მოგვარება, როგორიცაა სოციალური პრობლემების მოგვარება“ – განაცხადა ბადრი შოშიტაიშვილმა. (გეა)

შეჯიბრებისა კეთილმოწყობის სამმართველოს ბალანსზე გადავიდეს

დიდუბის რაიონის გამგებლის, ოთარ კვიზიკაძის ინფორმაციით, რაიონის ცენტრალურ ნაწილში – აკაკი წერეთლის გამზირზე საგზაო სამუშაოები მიმდინარეობს. მისივე თქმით, იმისათვის რომ სამუშაოები ბოლომდე იქნას მოყვანილი, ის კეთილმოწყობის სამმართველოს ბალანსზე უნდა გადავიდეს. ოთარ კვიზიკაძის ინფორმაციით, 15 დღეში რაიონის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურმა 175 ათასი ლარი შეადგინა. (გეა)

მწერლობა

კარდუ

ანუ გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვაწლი

აკაკი ბაქრაძე

ცდუნება

ცდუნება ყოველ ნაბიჯზე უდარაჯებს ადამიანს. მით უფრო იმას, ვინც მაძიებელია და მოვლენათა არსში წვდომა სურს. მე-20 საუკუნის პირველი ნახევარი მეტად მდიდარი იყო მაცდუნებელი მოვლენებით – ომები, რევოლუციები, რომელთაც სახე უცვალეს კაცობრიობის ცხოვრებას. პირველი მსოფლიო ომი, 1917 წლის თებერვლისა და ოქტომბრის რევოლუციები რუსეთში, გერმანიის დამარცხება და მის შედეგად წარმოქმნილი ვითარება, იმპერიების დაშლა, მეორე მსოფლიო ომი და დეკოლონიზაცია, გაუგონარი მეცნიერული და ტექნიკური გამარჯვებანი და მისი თანმხლები მოვლენები ანდამატივით იზიდავდნენ ყოველ მოაზროვნე ადამიანს. ეძებდნენ მათი ამოხსნის გზებს. ცდილობდნენ კანონზომიერების ამოცნობას, კაცობრიობის მომავლის განჭვრეტას. ძიებათა ამ პროცესში ერთი უმთავრესი ადგილი სოციალიზმის პრობლემასაც ეჭირა.

იმის მერე, რაც მარქსმა და ენგელსმა „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ გამოაქვეყნეს 1848 წელს, სოციალიზმი ყველაზე გავრცელებული და პოპულარული სოციალ-პოლიტიკური მოძღვრება გახდა. თუ მანამდე იგი ერთ-ერთი რიგითი მოძღვრება იყო, გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან მთელ მსოფლიოს მოედო. ვერცერთი რელიგია ვერ შეედრებოდა მას გავრცელებულობითა და პოპულარობით. ინდოეთსა თუ ჩინეთში, აფრიკასა თუ ამერიკაში სოციალიზმით ისევე იყვნენ დაინტერესებულნი, როგორც ევროპაში. მაგრამ ამ დაინტერესებამ და პოპულარობამ არსებითად საუკუნეზე მეტს ვერ გასძლო. სტალინის სიკვდილის შემდეგ, 1953 წელს, სოციალიზმით გატაცება თანდათან შენელდა და ყუყზე დავიდა. დღეს სოციალიზმს მხოლოდ გონდაბინდული ადამიანები თუ ებღაუჭებიან.

მაგრამ სოციალიზმმა დიდი ბოროტების ჩადენა მაინც მოასწრო. მე-20 ასწლეულის პირველ ნახევარში მან სამი ურჩხული დაბადა – რუსული ბოლშევიზმი, იტალიური ფაშიზმი და გერმანული ნაციზმი. მართალია, მათ შორის სერიოზული სხვაობაა, მაგრამ სამივე სოციალიზმის შვილებია. ხასიათით და თვისებით განსხვავებულნი, მაგრამ მაინც შვილები. მუსოლინი ისევე იყო იტალიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, როგორც ლენინი და სტალინი იყვნენ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრები. სოციალ-დემოკრატი მუსოლინი ქართველ სოციალ-დემოკრატ ნოე ჟორდანიასაც კი დახმარებია ერთხელ. როცა პირველი მსოფლიო ომი დაიწყო, ნოე ჟორდანიას არ უნდოდა ჩარჩენილიყო საფრანგეთში. საქართველოში დაბრუნება გადაუწყვეტია. ეს ძნელი საქმე იყო. საზღვრები უკვე ჩაიკეტა, არც ტრანსპორტის შოენა იყო იოლი. ნოეს გაუგია, რომ ვენეციიდან გემი გადის სტამბოლისაკენ, ისიც შეუტყვია: ყველა გემზე ორი თვის მანძილზე ყველა ადგილი დაკავებულიაო. მაინც წასულა ნოე ჟორდანია იტალიაში იმედით – იტალიელი სოციალისტები დამეხმარებიანო. როცა ვერაკინ უნახავს, მილანოში იტალიელი სოციალ-დემოკრატების გაზეთის „ავანტის“ რედაქციაში მისულა. იქ გაზეთის რედაქტორი მუსოლინი დახვედრია. მეტად თავაზიანად მიუღია მუსოლინის ნოე ჟორდანია. მაშინ მუსოლინი დიდი ფრანკოფილი ყოფილა. იმედი ჰქონია: ანტანტა უთუოდ დაამარცხებსო გერმანიას. როდესაც ნოე ჟორდანიას ეჭვი გამოუთქვამს – ამ ომში რუსეთი ვერ გაიმარჯვებსო, მუსოლინის ეს მეტად გაჰკვირვებია: ასოცი მილიონი რუსი ხალხი გერმანიას ვერ დაამარცხებს? ეს დაუჯერებელია, დაუჯერებელიო – იმეორებდა თურმე. ნოეს გახარებია ბენიტოს ფრანკოფილობა. თვითონაც დიდი ფრანკოფილი იყო. მუსოლინი მაშინვე დახმარებია ნოე ჟორდანიას. სარეკომენდაციო წერილი მიუცია. მეორე დღესვე ქართველი სოციალ-დემოკრატი ვენეციაში იყო, გემზე იჯდა და თურქეთისაკენ მიემგზავრებოდა (ნ.ჟორდანია – „ჩემი წარსული“, 1990 წ., გვ. 66-68).

თუ ლენინი და სტალინი ინტერნაციონალურ სოციალიზმს ქადაგებდნენ და მისი გავრცელება ეწადათ მთელ მსოფლიოში, ჰიტლერი ნაციონალური სოციალიზმის მომხრე იყო და მისი გამარჯვებისათვის იბრძოდა.

სოციალიზმი სამი ურჩხულიდან ყველაზე სასტიკი, დაუნდობელი და სისხლიანი რუსული ბოლშევიზმი იყო. მას ვერც გერმანული ნაციზმი შეედრება და ვერც იტალიური ფაშიზმი, რომელიც ამ სამიდან ყველაზე სუსტი იყო. როცა საბოლოოდ ის მსხვერპლი დაითვლება, ის ბოროტმოქმედებანი აღინუსხება, რაც რუსულმა ბოლშევიზმა ჩაიდინა, ნაციზმიცა და ფაშიზმიც კაცობრიობას ცხვირმოუსოცელ ბავშვებად მოეჩვენება. ახლა მარტო ზოგიერთს გაგახსენებთ.

არც გერმანულ ნაციზმს, არც იტალიურ ფაშიზმს რელიგია არ გაუუქმებია, ეკლესია-ტაძრები არ დაუნგრევია, სამღვდელოება არ ამოუხოცია. რუსულმა ბოლშევიზმა კი პირწმინდად მოსპო რელიგია, დაანგრია ეკლესია-ტაძრები, ამოწყვიტა სამღვდელოება.

კლასობრივი ბრძოლის სახელით, არც ფაშიზმს იტალიაში, არც ნაციზმს გერმანიაში არ გაუნადგურებია საკუთარი არისტოკრატია და ბურჟუაზია. მშრომელი, გამრჯე გლეხები არ მოუნათლავს კულაკებად და არ ამოუძირკვავს ძირფესვიანად. ბოლშევიზმა კი სსრკ-ში მოსპო არისტოკრატიაც, ბურჟუაზიაც და ე.წ. „კულაკური“ გლეხობაც.

მართალია, ნაციზმის დროს გერმანიაში ანტისემიტიზმი მძვინვარებდა, რასაც მილიონობით ადამიანი ემსხვერპლა, მაგრამ ვინ დათვალა რამდენი ებრაელი გაწყდა ბოლშევიკურ-კომუნისტურ საკონცენტრაციო ბანაკებში? ანდა სხვა ნაციონალობის ადამიანები, როცა მთელი ერების აყრა-გადასახლება მიმდინარეობდა? მაგრამ ჩვენი აზროვნება ჯერ კიდევ კომუნისტური თარგების ტყვეა. ჯერ კიდევ ისე ვაზროვნებთ, როგორც კომუნისტებმა ჩაგვიჭედეს თავში. დიდი დრო დასჭირდება იმას, რომ ჩვენი გონება ბოლშევიზმისაგან განთავისუფლდეს და ლაღად ამოისუნთქოს. სოციალ-პოლიტიკურ-ეკონომიური სისტემის დანგრევა, გონების განთავისუფლებას არ ნიშნავს. სისტემა შეიძლება გაქრეს, მაგრამ გონება მაინც ძველებურად ინერციით მუშაობდეს. გონება რომ მართლა განთავისუფლდეს, ამისათვის თაობების შეცვლაა საჭირო. ამიტომ არის, რომ ფაშიზმის ხსენება დღესაც შიშის კანკალს გგვრის. ბოლშევიზმს კი ლმობიერად ვეპყრობით. უფრო მეტიც: მისტირიან და იმაზე ოცნებობენ, როდის დაბრუნდებაო. იმას კი ვერ მიმხვდარან, რომ სწორედ ბოლშევიზმმა შეაჩერა იმ ხალხების განვითარება, რომელნიც სსრკ-ში ცხოვრობდნენ. ახლა ეს ხალხები იძულებულნი არიან უკან დაუბრუნდნენ (რაც პირველად ხდება მსოფლიოს ისტორიაში) კაცობრიობის განვითარების ძირითად გზას. სწორედ ეს იძულებითი და აუცილებელი უკანდაბრუნებაა იმ სიდუხჭირე-სიღარიბის, ჩამორჩენილობისა და სიბეჩავის საფუძველი, რაც ყველა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში სუფევს.

დროთა განმავლობაში ყველაფერი შეფასდება და გადაფასდება, მაგრამ იმას ვერავინ უარყოფს, რომ მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში კაცობრიობის ისტორიას ბოლშევიზმი, ნაციზმი და ფაშიზმი წარმართავდა. რაგინდ დიდი უბედურებაც უნდა ყოფილიყო ეს მსოფლიოსათვის, სამწუხაროდ და სავალალოდ, ასე იყო. ამას ვერსად გაექცევით. ის ადამიანებიც, ვინც ბოლშევიზმს, ფაშიზმს, ნაციზმს სათავეში ედგნენ, კაცობრიობის დაჟინებული ყურადღების საგანნი იყვნენ. სძულდათ კიდეც ისინი და უყვარდათ კიდეც. თუ ერთნი (დიდი უმრავლესობა) ბრმა სიყვარულ-სიძულვილს შეეპყრო, მეორენი (დიდი უმცირესობა) მოვლენის ახსნას ცდილობდნენ. უნდოდათ ნათლად გარკვეულიყვნენ, რა მოხდა და რატომ.

ძიების პერიოდში ცდუნებაც იოლია და შეცდომაც. ისეთი გამჭრიახი და ირონიული გონების პატრონმა მწერლებმაც კი, როგორიც იყვნენ ბერნარდ შოუ და ანატოლ ფრანსი, ვერ დაინახეს ბოლშევიზმის საფრთხე და მისგან კაცობრიობის ცხოვრების განახლებას ელოდნენ. ანრი ბარბიუსი ხომ სულ მოჯადოებული იყო სტალინითა და ბოლშევიზმით. რომენ როლანიც და ანდრე ჟიდიც დაიბნენ. თუმცა სსრკ-ში მოგზაურობის შემდეგ ანდრე ჟიდს გონება გაუნათდა და შეცდომას მიხვდა. მათ არავინ ემუქრებოდა და არც ძალდატანებით დამართიათ გონებრივი აბერაცია. ისინი გულწრფელი შეცდომის მსხვერპლნი იყვნენ. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. იგი ყველა დროში ხდება.

ასევე გულწრფელად მოსწონდა მუსოლინი ამერიკელ პოეტს ეზრა ფაუნდს. იგი იტალიელი დუჩესაგან არც რაიმე ჯილდოს მოელოდა და არც ეშინოდა მისი. უბრალოდ, საბუთიანად თუ უსაბუთოდ, აღტაცებული იყო ფაშისტების თავკაცით. არა ერთხელ და ორჯერ შეასხა ხოტბა. სტალინითაც იყო ეზრა ფაუნდი მოხიბლული. საგანგებოდ სწავლობდა ქართულს. უნდოდა იოსებ ჯუღაშვილს ქართულად დალაპარაკებოდა. ამით აპირებდა უფრო ღრმად ჩაეხედა მისი გულისსკნელში. ამერიკელებმა არ აპატიეს ეზრა ფაუნდს მუსოლინით გატაცება. შეშლილად გამოაცხადეს და დიდი ხნით ჰყავდათ საგიჟეთში დამწყვდეული.

კნუტ ჰამსუნსაც არ შეარჩინეს ნორვეგიელებმა ჰიტლერით გატაცება. მანაც დაიმსახურა თანამემამულეთა რისხვა. მაგრამ დრო გავიდა. ნორვეგიელებსაც და სხვებსაც დაავიწყდათ კნუტ ჰამსუნის „ცოდვა“. კნუტ ჰამსუნი ისევ კნუტ ჰამსუნია და ნორვეგიელები მისი ნიჭიერების შესაბამის პატივს მიაგებენ.

საერთოდ, ყველა დროში და ყველა ქვეყანაში არსებობდა სახოტბო ლიტერატურა. სანიმუშოდ მარტო ჩვენი „აბდულმესიანი“ და „თამარიანიც“ კმარა. ანდა თავად რუსთაველი არ ბრძანებს – „თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლ-დათხეული?“ ასე იყო ყოველთვის. ასეა დღესაც. მეხოტბენი თავდაუზოგავად უმღერიან ძლიერთა ამა ქვეყნისათა: ზოგნი – გულწრფელი აღტაცებით, ზოგნი – ანგარებიანი გამორჩენის მიზნით.

მწერალი ემოციური არსებაა, მასზე ღრმად ზემოქმედებენ ძლიერი ადამიანები. როგორც სრულიად უცნობი ლამაზი ქალი ააფორიაქებს მწერლის სულს და უმშვენიერეს ლექსებს დააწერინებს, ასევე იწვევს ძლიერი პიროვნება შემოქმედის აღგზნებას. უჩენს სურვილს ხოტბის შესხმის.

გრიგოლ რობაქიძეც აჰყვა ცდუნებას, როცა „ადოლფ ჰიტლერი“ და „მუსოლინი“ დაწერა. ეს ჩვეულებრივი ამბავია. ღირსეული თუ უღირსი ადამიანით წარსულშიაც ხშირად აღტაცებულა მწერლობა. დღესაც ხდება ეს და მომავალშიც მოხდება. დამფიქრებელი სხვა რამ არის. გრიგოლ რობაქიძემ იშვიათი შორსმჭვრეტელობით, სიღრმითა და სიზუსტით დაინახა ბოლშევიზმის არსი („ჩაკლული სული“, „გრაალის“ მცველნი“). ამოხსნა მისი მოქმედების მექანიზმი. მაგრამ ვერ მოახერხა ასეთივე ძალით ჩაწვდომოდა ფაშიზმსა და ნაციზმს. ეს მისდამი კეთილად განწყობილ ადამიანებს აკვირვებდა. ახსნას უძებნიდნენ. მაგალითად, ნიკოლაუს ზომბარტი ფიქრობდა, რომ ჰიტლერში გრიგოლ რობაქიძე რუსი ბოლშევიკ-კომუნისტებისაგან დამონებული საქართველოს ჰიპოთეტურ გამანთავისუფლებელს ხედავდა და ამან გამოიწვიაო ავადსახსენებელი ესეის დაწერა („Jugend in Berlin“). დასაშვებია ეს აზრი სიმართლის გარკვეულ დოზას შეიცავდეს. მაგრამ არის კიდევ რაღაც სხვა „ადოლფ ჰიტლერისა“ და „მუსოლინის“ დაწერის საფუძველი, რომლის გასაღებს თავად იძლევა.

გაგრძელება. დასაწ. იხ. „საქართველო“ №109-119 1997წ., №1-10

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ერი და ჭეშმარიტება

ვაგრძელებთ ბეჭდვას ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების თაოსნობით გამართული ორდღიანი დისკუსიის „ერი და ჭეშმარიტება“ მასალებისა. „საქართველოს“ ა.წ. 24–25 იანვრის ნომერში გამოქვეყნდა როსტომ ჩხეიძის შესავალი სიტყვა და ვახტანგ ერქომაიშვილის მოხსენების ძირითადი დებულებანი და შინაარსი; 4–6 თებერვლის ნომერში — ზურაბ კიკნაძის მოხსენება „რამეთუ იყო იგი სხვაი ჩემი“; 7–10 თებერვლის ნომერში — ჯანსუღ ღვინჯილიას სიტყვა „როგორც უფალი, სამშობლო ერთია ქვეყანაზედა“.

ამჯერად გთავაზობთ პროფესორ შოთა ნადირაშვილის სიტყვას. რამდენიმე წლის წინათ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე მას პოლემიკა ჰქონდა ზურაბ კიკნაძესთან სწორედ ამ პრობლემის ირგვლივ. ამჟამად ბ–ნ შოთამ ამჯობინა თეორიული თვალთახედვით განესაჯა ეს საკითხები და გამოერჩია ხედვის სამი მიმართულება. მისმა გამოსვლამ უთუოდ შესძინა ფსიქოლოგიური საფანელი დისკუსიას.



ერი და ადამიანები ერთად იქმნებიან

შოთა ნადირაშვილი

თავიდან ბოდიში მინდა მოვიხადო იმის გამო, რომ გუშინ ვერ ვესწრებოდი. ამიტომ ჩემს გამოსვლაში ბევრ რამეს ვერ გავითვალისწინებ, რაც აქ გუშინ ითქვა, ამიტომ ამ უხერხულობისაგან რაღაცნაირად დაღწევა მინდა.

ძალიან რთული საკითხია, რასაკვირველია, რასაც ჩვენ ვეხებით ახლა, მაგრამ ჩემს თავს უფლებას ვაძლევ მაინც ასეთ რამეებზე ვილაპარაკო.

მე ჩემს პროფესიულ საქმეებში მომიხდა პიროვნების, ერის, კაცობრიობის – ამ მცნებათა ურთიერთობის შესახებ რაღაც ცოდნის მიღება, ლიტერატურის გაცნობა და ჩემი ანალიზითაც რაღაც აზრებამდე მისვლა, მით უმეტეს, რომ ჩვენ ამ საქმიანობაში წინაპარი გვყავს, ისეთი დიდი მოაზროვნე, როგორიც მიხაკო წერეთელია, რომელმაც დაგვიტოვა ბრწყინვალე შრომა. ძალიან ვწუხვარ, რომ საქართველოში ეს წიგნი დიდი რაოდენობით გამოიცა, მაგრამ ის შეხედულებები მაინც და მაინც არ ისმის არც მოხსენებებში, არც შრომებში, არც ამ კამათის დროს და ამ საკითხებზე მიხაკო წერეთელი, ისევე, როგორც არჩილ ჯორჯაძე, დიმიტრი უზნაძე, ძალიან ბევრს ფიქრობდა. და ამ საქმეს მე შევეხები, როგორც მეცნიერულ საკითხს.

ბ–ნმა ზურაბმა (კიკნაძე) ამგვარი განმარტება შემოგვთავაზა რომ ერი, ჭეშმარიტება ასეთი ცნებებია, ზოგიერთი მათგანი მაინც მეცნიერების საქმე არააო. იცით, თუ არაა, უნდა იქცეს მეცნიერების საქმედ. მეცნიერება ესაა ადამიანის აზროვნების უმაღლესი შესაძლებლობა.

ახლა, ერის და პიროვნების შესახებ მინდა ჩემი აზრი ვთქვა. შეიქმნა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და ქარტია და ამბობენ, რომ უნდა დაცული იყოს პიროვნება, იმიტომ, რომ როგორც ერთმა ჩემმა უფროსმა აკადემიაში მითხრა... მე ელაპარაკობდი, რომ ერსაც აქვს უფლება არსებობისა და მისი დაცვაც არის საჭირო და კარგად მითხრა, პიროვნება ისე კარგად შეისწავლეს – ფილოსოფიამ, ანთროპოლოგიამ, ფსიქოლოგიამ, რომ მის შესახებ, მისი ბუნებიდან გამომდინარე, უკვე შეიძლება მის დასაცავად კაცობრიობამ შექმნას ქარტია, ერის შესახებ ასეთი ნათელი ცოდნა ჯერ მას არ გააჩნიაო; და მართლაც, თუმცა მას გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ჰქვია და ერებს უნდა იცავდეს წესის მიხედვით. მაგრამ ამ გამოსვლებში ერის განმარტებას მაინც იძლევიან და, ჩემი აზრით, არასწორს. ამ თვალსაზრისით მე სამნაირი თეორია ვნახე. გავეცანი ავტორებს, რომელნიც შეწუხებულნი არიან იმის გამო, რომ ამ პიროვნების უფლებებისათვის ბრძოლამ დაჩრდილა ერის შესახებ მეცნიერება და მოძღვრება და ამის გაუთვალისწინებლობამ ერთა შორის ისეთი ამბები გამოიწვია, რასაც ტრაგედიები მოჰყვა. ამის გაუთვალისწინებლობაა ხშირად ის ფაქტორი, რის გამოც იწყება სხვადასხვა ეთნიკური და ნაციონალური ბრძოლები.

პიროვნება, რაც უნდა განმარტება გვქონდეს რელიგიური თუ სხვაგვარი თვალსაზრისითაც, მეცნიერებასაც აქვს თავისი განმარტება და თვლის ცოცხალ არსებად, სულიერ არსებად. აქ ცოტა ისე მომეჩვენა, თითქოს სულიერი არსების შესახებ, სულის შესახებ მეცნიერება არ შეიძლება იყოს, მე არ მგონია ეს მართალი, სულიერი არსებაა ადამიანი, ის ღირებულებებსა ქმნის, ღირებულებებს ემსახურება და იყენებს, და ამიტომ სულიერია და მის შესახებ მეცნიერება შეიძლება არსებობდეს ისე, როგორც ბიოლოგიური თუ სოციალური არსების შესახებ.

პიროვნება მაინც ჩამოყალიბდა, რასაკვირველია, ეს უმაღლესი დონეა თავისუფლების მომენტი და ის უნიკალობის მომენტი ერთ–ერთი აუცილებელი მხარეა პიროვნებისა და მისი მოქმედებისა და შემოქმედების შესახებ მეცნიერული ცოდნა თანდათან გროვდება. ერიც ასევე. მე ძალიან გამეხარდა, როდესაც ბ–ნი ზურაბი ერზედაც ლაპარაკობდა, როგორც უნიკალურ მოვლენაზე. უნიკალურია ერიც.

სწორედ ახლა მე მინდა გითხრათ, რაც ერცელდება ბოლო ხანებში ერის სულიერ თეორიებში.

ბიოლოგიური თეორიების მიხედვით, ერი განიხილება ერთი სისხლის, ერთ ადგილზე ცხოვრების, იმ ბიოლოგიური თვისებებით, რაც ერთ ადგილზე ცხოვრებით შეისისხლხორცა, სოციალურ თეორიებში არის ხოლმე კომუნიკაციის, ურთიერთგაგების, თანამშრომლობის, ასეთი ამბების გამო შეკავშირებული ჯგუფის გაერთიანება, სულიერ თეორიებში შედის, როგორც კულტურის შემქმნელი, თავისუფალი არსება და ა.შ. ბოლო თეორიების შესახებ მე მინდა გითხრათ გარკვეული რამ.

ერისა და პიროვნების ურთიერთობის შესახებ არსებობს საზოგადოებრივი აზრიც და მეცნიერებაც. საზოგადოებრივი აზრები იყო და ის მუშაობდა ძალიან XIX ს–ში. ერი, როგორც ღირებულება, ლიტერატურაში უფრო მაღლა ითვლებოდა, ვიდრე თვითონ პიროვნება. კაცს გმირად თვლიდნენ, თუ ერს ემსახურებოდა, პატრიოტი იყო, სამშობლოსთვის თავს დებდა და სიკვდილზე მიდიოდა იმიტომ, რომ ეროვნული და ერი ერთ ღირებულებად ითვლებოდა.

ამერიკელების გავლენით ჩვენს საუკუნეში პიროვნება უფრო მაღალ ღირებულებად გამოცხადდა, ერიც, კლასებიც, სახელმწიფოც უნდა მოემსახუროს პიროვნებას.

არსებობს ასეთი ცალმხრივი თეორიები, რომელთა მიხედვით პიროვნებაა პირველადი და ყველაფერი მას უნდა ემსახურებოდეს, ან იყო შეხედულება, რომ ერს უნდა ემსახურებოდეს პიროვნება და მე ისევ თეორიაზე ვილაპარაკებ, რომელიც გაწონასწორებულია ერის შესახებ. რომ ერი, როგორც პიროვნება, ეს სულიერი არსებებია, ერი, როგორც სუბიექტი, ისე გამოდის, როდესაც სახელმწიფო ჩამოყალიბდება, ასრულებს თავის მოვალეობას, პერსონიფიკაციას ახდენს თავის თავის შესახებ. მას ისეთივე ეკზისტენცია აქვს, როგორც პიროვნებას, მას შეუძლია თქვას ყველა სხვა საგნებისაგან განსხვავებით, რომ ეს მე ვარ, და ვინა ვარ დაასახელო, და თავისი თავის იდენტიფიკაცია მოახდინოს. ეს შეუძლია პიროვნებას, პიროვნება ამიტომაა პიროვნება, ცნობიერებაც აქვს და ცნობიერება აქვს თვით ცნობიერების საფუძველზე. თავის თავს განიხილავს როგორც არსებას და წამოსწევს წინ. ასევე შეუძლია ერს, თავისი თავის პერსონიფიკაცია მოახდინოს, თქვას, ვინ არის. ლუდოვიკო XIV ამბობდა: საფრანგეთი ეს მე ვარო. და ეს ერთი კაცის სახელით გამოხატავდა ერს, მეფეები გამოხატავენ, პრეზიდენტები გამოხატავენ, პარლამენტები, საბჭოები და ა.შ. ერს გამოხატავენ და სხვა ერთან ურთიერთობისას ისევე შედიან კონტაქტში, როგორც პიროვნებები.

მე რისი თქმა მინდა. მოდი შევთანხმდეთ, როდესაც ვამბობთ ერი როგორც სულიერი ფენომენი, კულტურის სუბიექტია პიროვნებას ეს არ შეუძლია. ახლა შევთანხმდეთ, ეს სუბიექტი ნახმარია, როგორც პირდაპირი მნიშვნელობით თუ გადატანითი მნიშვნელობით, თითქოს სუბიექტი კი არ არის, ვვარაუდობთ თითქოს სუბიექტია. როგორც ჩვენ მშვენივრად ვიცით, ერი, როგორც ერთი არსება, ეითარდება, თავისი სასიცოცხლო მოთხოვნილებები აქვს, იბრძვის თავისი თავის შენარჩუნებისათვის, სიცოცხლის მახასიათებელი ყველა ნიშანი აქვს: თვითგადარჩენის ტენდენცია, მისი ცხოვრება მიზეზ–შედეგობრივი კატეგორიით არ ხდება, არამედ მიწანშეწონილობით გარკვეულ მიზნებს სახავს და აკეთებს. ერი წარმოადგენს მიზანშეწონილი ქცევის სუბიექტს. ის იქმნება სხვა ერებთან ურთიერთობაში, დაახლოებით 16–17–20 წლის ასაკში კაცი პიროვნებად ყალიბდება, ის დამოუკიდებელი ხდება და სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში შედის და მას პასპორტს აძლევენ, მოქალაქეობას აძლევენ და ა.შ. ერსაც თავისი თავის იდენტიფიკაცია და პერსონიფიკაცია სხვა-ერებთან ურთიერთობაში შეუძლია. ერის კვდომა ისაა, როდესაც იგი კარგავს კონტაქტებს და ურთიერთობას სხვა ერებთან.

200 წლის მანძილზე ჩვენ კვდომის პროცესში ვიყავით, როდესაც ფაქტიურად სხვა ერებთან ურთიერთობას გამოვეთიშეთ და ეროვნულ თვისებებს ვკარგავდით ერი შეიძლება მოკვდეს. მკვდარი ერები, თქვენ იცით, რომ არსებობენ, როგორც მკვდარი ენები, რომლებზეც არავინ არ ლაპარაკობს, ამ ერებს ეკზისტენცია არ გააჩნიათ, ისინი არ ცხოვრობენ, მკვდარი არიან და განიხილებიან როგორც ისტორიის საგანი. არსებობს მკვდარი კულტურები, რომელნიც აღარ ვითარდებიან, ასე რომ, სიცოცხლის თვისება აქვს ერს, სხვა ერებთან ურთიერთობაში გამოყოფს თავის თავს და როგორია ის, ამის შემეცნება მხოლოდ მასთან მიმართებისას ხდება, მასთან დაპირისპირებაში, მასთან ერთიანობასა და მისი თავისებურების გამოკვეთაში, ის უნიკალობა, რომელიც მას აქვს, ზურაბი რომ ლაპარაკობდა, მას ამ დროს აღმოაჩენს, როდესაც მასთან ურთიერთობაში შევა. ერი ქმნის კულტურას, თავის კულტურას. ერი და პიროვნება, როგორც ეთქვი, უნიკალური და სულიერი არსებები არიან.

კაცობრიობა არ არის ასეთი არსება რელიგიური მოსაზრებებით, თქვენ შეგიძლიათ ეს ამტკიცოთ და თქვენ თუ გწამთ, შეიძლება მეც ვიწამო ან შეგებრძოლო თქვენს რწმენას, მაგრამ ფსიქოლოგია იცნობს ორნაირ სოციალურ ჯგუფებს. პირველად ჯგუფებსა და მეორად ჯგუფებს. პარტიას ქმნიან ადამიანები, ჩამოყალიბებულნი, რომელშიც შედიან ისინი და ქმნიან გარკვეულ პარტიას, კლასები ასევე იქმნება, ორგანიზაციები, დაწესებულებები, ჩვენი ინსტიტუტი, თქვენი ინსტიტუტი ასე იქმნება, იქ შედიან ადამიანები. ერი არ იქმნება ასე. ერს არ ქმნის ჩამოყალიბებული, დასრულებული ადამიანები, როგორც პარტიაში შედიან ისე, იმიტომ, რომ ერში რომ ადამიანები შეიდნენ, გარეთ იყვნენ ადამიანები და შეიდნენ, მათ უნდა ჰქონდეთ ენა, მათ უნდა ჰქონდეთ კულტურა, წეს–ჩვეულებები და ა.შ.

ამიტომ ერის გარეშე ისინი ვერ შეიძენდნენ და მერე შეძენილით ვერ შეერთდებოდნენ.

როდესაც ადამიანები ყალიბდებოდნენ, როგორც ადამიანები, და მათ ექმნებოდათ თვისებები კომუნიკაციისა, ენისა, ურთიერთობისა, თანამშრომლობისა, აი, თვითონ ეს პროცესი არის ერის ქმნის პროცესიც. ერის ჩამოყალიბება და პიროვნების ჩამოყალიბება ერთი დიდი პროცესია, სადაც ორი ეკზისტენცია თავისი თავის უნიკალიზაციას ახდენს, ამ დიდ პროცესში ყალიბდება ერიც და პიროვნებაც.

ახლა, როდესაც ვლაპარაკობთ ერზე, ყველაზე ხშირად ვგულისხმობთ ეთნიკურ ერთეულს, ეთნიკური ერთეული არ არის ისეთი რამ, რასაც ეროვნულის და ერის ნიშნები არ გააჩნია, მას აქვს თავისი ენა, თავისი კულტურა, ადამიანთა ის წრე, რომლებიც ერთად არიან. კაცობრიობა ასეთი ერთობლიობა არაა, კაცობრიობა დღეს იქმნება. საქართველოში რა ხდებოდა, ეს გაურკვეველი და გაუგებარი იყო ავსტრალიისა და ზელანდიისათვის, არა იმიტომ, რომ გაუგებარი იყო რაღაც თავისთავადი. ის პროცესი, რაც აქ ხდებოდა, არ ახდენდა გავლენას იქ მიმდინარე პროცესზე. ქართულ ენაში რომ ცვლილება ხდება, ის მთელი საქართველოს სივრცისთვის ხდება. კულტურაში რომ სიახლე შემოდის, ეს იმას ნიშნავს, რომ ის ამ სივრცეში ექცევა. მე იმის თქმა მინდა, რომ ერის ჩამოყალიბებას ორნაირ თეორიად ყოფენ: ჰოლისტურ თეორიებად და ატომისტურ, ჰაიტისტურ ერთეულებად. მე გარკვეული თვალსაზრისით სამი მიმართულება წარმოვადგინე.

ახლა რაც მე მინდა, კარგად ვერ ვაყალიბებ, შეიძლება ისაა, ის შეცდომა, ჩემი აზრით, რასაც ჩვენ ეუშვებთ, ეს ლოგიკური შეცდომა გახლავთ, გვარის გამონახვაში მდგომარეობს.

ყველა განსაზღვრება, ცნება მოიცავს გვარს და სპეციფიკურ ნიშნებს. ის თვალსაზრისი, რომ ერი არის ადამიანთა ერთობლიობა, შეიცავს ამ შეცდომას. თითქოს ადამიანები გაერთიანდებიან, არა, ადამიანები ერში იქმნებიან. ერი და ადამიანები ერთად იქმნებიან. ამიტომ ერის გვარი, ლოგიკური გვარი არის სულიერი არსება, სულიერი ფენომენი. ასევე ადამიანისა, ისიც სულიერი ფენომენია. მაგრამ სპეციფიკური ნიშნები ადამიანს სხვა აქვს და ერს – სხვა. აი, ამაში თუ შევთანხმდებით ან არ შევთანხმდებით, და დავამტკიცებთ, რომ ეს სწორი არ არის, ჩვენ ბევრი რამე მოგვეხსნება. ჩემი განცდით, მთელი გაუგებრობა და შეცდომა ისაა, რომ ერი გაგებულია, არა როგორც სულიერი ფენომენი, ამას ხშირად მეტაფორასაით ვეპყრობით, რომ ერი არის სულიერი სუბიექტი, მეტაფორაა ეითომ და არა რეალური ცნება.

არ არის მეტაფორა, ის ნამდვილად სუბიექტია, იურიდიულ სახელმწიფოებში პიროვნება არ არის სუბიექტური ერთა შორის ურთიერთობაში, საერთაშორისო სამართალში. სუბიექტი არის ერი მისი წარმომადგენლობის მიხედვით. თუ ასე განვსაზღვრავთ... მოუმზადებელი ვარ მე, ცოტა არ იყოს, ასეთი მოხსენებისთვის და მაპატიეთ, თუ უხვსიტყვაობა გამომივიდეს. თუ ჩვენ ერს ასე განვსაზღვრავთ, როგორც სულიერ ფენომენს, პირველად ჯგუფს, პირველად მოვლენას, ის... სწორედ ეკზისტენციალისტების აზრით ის არის, როგორც ცხოველი, ცხოველიდან ვერ მიიღებთ ადამიანს. ადამიანი არის სულიერი არსება. ერიც აგრეთვე სულიერი არსებაა, რომელიც სიცოცხლის ნიშნებით, სოციალური ნიშნებით, სულიერი ნიშნებით, სასიცოცხლო პროცესებით, ურთიერთობის პროცესებით და ღირებულების შექმნისა და მოხმარების თვალსაზრისით ისეთი ერთობლიობაა და სუბიექტია, რომელიც თავის თავს საზღვრავს, სხვა ერებთან ურთიერთობაში ყალიბდება და ა.შ. და... დამავიწყდა მე, დაეკარგე ის ძაფი... კაცობრიობა დღეს იქმნება, როგორც ერთიანობა. ახლა ამ კავშირების გამო ძალიან დავკავშირდით. კაცობრიობა არ წარმოშობილა

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ხმა საქართველო

ციტატები უკომენტაროდ კომუნისტების გაზეთიდან

ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს – ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

ბატონო პრეზიდენტო!

საქართველოს პარლამენტმა 1997 წლის 12 დეკემბერს მიიღო კანონი „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“, რომელიც 1998 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდა. იგი დაუყოვნებლივ უნდა შეჩერდეს.

ამ კანონის მოქმედება ვრცელდება საქართველოს მოქალაქეებზე, რომლებმაც პოლიტიკური რეპრესიები განიცადეს საქართველოს ტერიტორიაზე 1921 წლის 25 თებერვლიდან 1990 წლის 28 ოქტომბრამდე.

ამ კანონის მე-4 მუხლის თანახმად პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად მიიჩნევა პირი, რომელიც მსჯავრდებული იყო ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციური აგიტაცია-პროპაგანდისათვის, კონტრრევოლუციური და მმართველობის წესის საწინააღმდეგო სსრ კავშირისათვის საშიში სხვა დანაშაულის ჩადენისათვის.

* * *

გაიმართა საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან მოქმედი კონტრპროპაგანდის კომისიის სხდომა. სხდომის მონაწილეებმა მკაცრი შეფასება მისცეს „თავისუფალ პრესაში, კერძოდ, გაზეთებში – „ასავალ-დასავალსა“ და „საქართველოში“ დასტამბულ ანტიკომუნისტურ პუბლიკაციებს, საყვედური გამოთქვეს ჟურნალისტების ვანო პავლიაშვილისა და გიორგი ბეზირგანისადმი, რომელთა სტატიები შეიცავენ სტალინისა და სოციალიზმის უმართებულო კრიტიკას.

ისტორიული ფაქტების გაყალბება მკრეხელობაა და ამის უფლება არავის არა აქვს.

სეკ პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდენტი

* * *

სტალინის პიროვნების ხელახალი სამართლიანი აღზევება მშრომელი ხალხის კლასობრივ მტრებს მოსვენებას უკარგავს და ამიტომაც არის, რომ ყალბი, გამოგონილი სამხილებით კვლავაც ცდილობენ ჩრდილი მიაყენონ ხალხის საყვარელი ბელადის სახელს. ეს, რა თქმა უნდა, უანგაროდ არ ხდება...

დიახ, ბევრია ასეთი თაგვამოდებული მედროვე ჩვენს გვერდით და, ცხადია, არც ერთ მათგანს არ უნდა დაეკარგოს „დამსახურება“, მისაგები ყველას უნდა მივაგოთ...

დღეს ერთ-ერთი მათგანის – ბატონი ანდრო ქორიაშვილის უდაოდ გამორჩეულ ანტისტალინელობაზე გვინდა გესაუბროთ, აისიდან დაისამდე კომუნისტებზე პასკვილების თხზვით რომ არის გატაგებული, თქვენ წარმოიდგინეთ, გაიწაფა კიდეც, მხედველობაში მაქვს გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნებული მისი პოლიტიზებული პუბლიკაციები.

* * *

ბატონო ანდრო, თქვენი სახელიც მიგვანიშნებს, დროს ანგარიშს რომ უწევთ. დროც ჯერჯერობით

პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! — ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТ

კომუნისტი

საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის გაზეთი
КОМУНИСТ — ГАЗЕТА ЕДИНОЙ КОММУНИСТИЧЕСКОЙ ПАРТИИ ГРУЗИИ

თქვენისთანების ხელშია. მედროვე კაცს მეტი რაღა სჭირდება? თუმცა მედროვეს არსად მედროშედ არ ჩათვლიან. გეტყობათ, შეფის მცნებას რომ მიყვებით: ისარგებლე მორთმეული კეთილდღეობით. ნუ ეცდები პირთან მიდებული ანკესის მოშორებას. მერე, დროის მიხედვით, უყელე საქმეს. მონანიებულ ცოდვებსაც უფალი იერუსალიმში შეგინდობს. ნიკიტას ნაამბობით, თურმე რაღაც საქმით გაბრაზებულმა ი.სტალინმა პოლიტბიუროს წევრებს „თვალაუხელელი კატის კნუტები“ უწოდა, თანაც დასძინა – თქვენ ველარ არჩევთ მტერსა და მოყვარეს. გამართლდა ბელადის პროგნოზი; დაერიენენ ერთმანეთს, ამიტომაც ყველა ჩამოცვივდა ეტლიდან. კატა რომ არ შეპარულიყო, ფარღალალა ქოხებში მიცვალებულს ღამეს უთევდნენ. კატას ხომ უყვარს მიცვალებულის ხორცის ჭამა. ამიტომაც აყეფდნენ სტალინის წინააღმდეგ. მაგრამ არაფერია, ამისთანა კატუნია-კაცუნებისა და მგელ-კაცების გლოვის ზარი მალე დაიგუგუნებს სამების ეკლესიაში.

ბატონო ანდრო, სოლომონ ისაკიჩ მეჯლანუაშვილმა ბევრი იცოდვილა, სხვადასხვა ენაზე გვარი რომ გადაეკეთებია, მაგრამ ფუძე „ჯლანი“ ველარ მოაშორა. თქვენც ეგრე გემართებათ: „ქორია“, – ჭამეო, ამას ნიშნავს მეგრულად – ეტყობა, წინაპრებმაც ასე მიიჩნიეს – მშიერი თუ არ დააპურე, იუდას მიეყიდებაო. ეფიქრობ, ხელისუფლება ნუგბარ-ნუგბარი ლუკმებით გაგიმასპინძლდებათ ი.სტალინზე კომპრომატის წერისათვის, მაგრამ თქვენი მოქნეული ჭვილთი ბელადს ვერაფერს დააკლებს:

„ნიჭს კრიტიკა ვერას ავნებს,
შნოს შემატებს კიდეც იმას,
მხოლოდ ყალბი ყვავილები
შეჰყურებენ შიშით წვიმას“.
(კრილოვი).

თვითონ ბატონ ნოდარ გრიგალაშვილს მიაჩნია – აქაო და გრიგალივით შემოვიჭერი აზრთა სასუფეველში, გრძელყურიანთა დასაბრიყვებლადო.

საღად მოაზროვნე ინტელიგენცია მას აღარ გაყვება და არც დააკანონებს სკოლებში მისგან შემოთავაზებული ლიტერატურის საპროგრამო ნუსხას.

საზოგადოება საკუთარი ობიექტური კანონებით ვითარდება და სრულებითაც არ ემორჩილება პოეტური მუზის მხატვრულ გამობრწყინებას.

ეფიქრობ, გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია სპეციალური დავალებით აღვივებს ანტიკომუნისტურ ისტერიას, რამეთუ ენიშნებათ „დემოკრატიის“ გემის ჩაძირვის გარდაუვალობა. ასე ემართება ბატონ ლევან მალაზონიასაც – აბსურდული არგუმენტებით რომ ცდილობს მკითხველის მოჯადოებას. ბოლშევიკებმა 92 მილიონი ადამიანი დახოცესო, – ამბობს მალაზონია. დახოცილთა გვამები ავტომანქანაზე რომ ეყარა ეტეოდა, პრესით ტკეპნიდნენ და მიცვალებულთა ძვლებს ჭახაჭუხი გაჰქონდაო... რა გამახვილებული სმენა ჰქონია, ციმბირში ძვლების მტვრევის ხმა საქართველოში რომ გაუგონია ბატონ ლევანს.

* * *

ვინც სიმართლეს ემსახურება, ანონიმური ავტორის სახელს არ ამოეფარება, მალაზონიას სახელით ვინ აქვეყნებს სტატიებს? უნებლიედ გვაგონდება ჩიჩიკოვის მკვდარი სულები, ბატონ ბორის გოგიას ნარკვევში („საქართველო“ №7) „ჩქიმი ლავრენტი“, ნათქვამია, რომ 1941 წლის 21 ივნისს დასავლეთის ფრონტს არწმუნებდა, – საზღვარზე საშიშროება არ არისო, თვითონ კი თეატრში ირთობდა თავს. ტუხაჩევსკი იმ დროს დახვრეტილი იყო. დასავლეთის ჯარების სარდალი პავლოვი გახლდათ, მისი დოკლაპობა ქვეყანას ძვირად დაუჯდა, ამიტომაც დახვრიტეს.

ფაქტობრივ შეცდომებსაც სიყალბის სუნი ასდის.

„საქართველოში“ ფეხი მოიკიდა ჩვენი დიდი წინაპრების გაკილვამ. გიორგი საakაძის სახელი ლამის გააქრონ, რამეთუ იგი ი.სტალინს უყვარდა.

გიორგი საქართველოს ერთგული რომ არ ყოფილიყო, შაჰ აბასი თავის სარდალს არ დაავალებდა მის ლიკვიდაციას. საakაძემ აჭარაში გახიზნული თეიმურაზი მოიწვია და ტახტზე დააბრძანა. იქნებ ეს ამტკიცებდეს მის მოღალატეობას?

დიდი წინაპრების აუგად მოხსენიება, რელიგიური მორალითაც მკრეხელობაა.

ეაჟა შენგელია
26 იანვარი, 1998 წელი

* * *

ქართველებს უმადურობა გვჩვევია

საინტერესოა, ამ ნათაძეს რამ შეაძულა ასე სტალინი და სოციალიზმი – ბოლოს და ბოლოს ის ხომ პროფესორი სწორედ სოციალიზმის დროს გახდა, არა მგონია ის იმ დიდ პოლიტიკოსებზე უფრო ჭკვიანი იყოს, სტალინს რომ დიდ პატივს მიაგებდნენ! – თუნდაც ჩერჩილსა და რუზველტზე, რომლებიც სტალინს გენიოსად თვლიდნენ!

ქართველთა ნაწილმა რუსი ხალხისადმიც დიდი უმადურობა გამოავლინა და ნოდარ ნათაძე ამ თვალსაზრისითაც გამორჩეულად აქტიურობს. ამით რომ რუს ხალხსაც აძულებს საქართველოს, ალბათ ავიწყდება! საჭიროა დაფიქრდნენ ის და მისი დამქაშები.

სტალინის სიძულვილს ვერ გამოიწვევენ გონიერ ხალხში, თვითონ კი ყველასაგან მოძულებული დარჩებიან. კმარა სტალინისა და რუსების ლანძღვა. ქართველები რუსებმა გვიხსნეს ფიზიკური განადგურებისაგან.

ილია გელაშვილი,
ომის, შრომისა და პარტიის ვეტერანი, სახალხო განათლების წარჩინებული მასწავლებელი, პენსიონერი

ბორჯომის რაიონი,
სოფ.კორტანეთი

ოჰ, ეს მაოხრებელი გზირი

ბატონო ნოდარ, წავიკითხეთ თქვენს გაზეთში ანდრო ქორიაშვილის სტატია (გაზეთი „საქართველო“ №114. 1997), რომელმაც ჩვენზე მძიმე, მაგრამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა, რისთვისაც მადლობას გიხდით თქვენ და ავტორს.

(ვიცნობთ რედაქტორებს, რომლებიც ასე კარგად ვერ ერკვევიან წარსულის მოვლენებში, არიან სტალინისტები და რუსოფილები).

სტალინის თემა ამოუწურავია, როგორც დიდი ინკვიზიტორის და როგორც დიდი იმპერიის შემქმნელის.

ყოველი პიროვნება უნდა შეფასდეს იმის მიხედვით, თუ რა ღვაწლი და სიკეთე მიიტანა მან საქართველოს სამსხვერპლოზე.

საბჭოთა სისტემა იყო ცრუ, ყალბი, ადამიანის კეთილდღეობის ნიღბით შემოსილი უზურპატორი, მილიონთა გონების დამმონებელი, დამჩლუნგებელი (სტალინისტები და რუსოფილები ერთმანეთისგან არ განსხვავდებიან). სტალინის ქართველობით დაბრმავებულნი, ვერ ხედავენ, რომ ამ „დიდმა ქართველმა“, მართლაც საუკუნეებით ჩამოარჩინა საქართველო წინსვლა-განვითარებას. რა თავში ვიხლი მის ქართველობას, კაცმა, რომელმაც ნახევარი საქართველო გააულტინა (ბავშვობაში გვასწავლიდნენო მის სადიდებელს. მეც მასწავლიდნენ, მეც ვიყავ ბავშვი, ვმღეროდი და ვამბობდი, მის სადიდებელ ლექსებს: „სტალინ! სტალინ! საყვარელო! შენ მოგძახის საუკუნე“. მემარჯვენეობდა მხატვრული კითხვა და ქალაქო ოლიმპიადაზე წამიკითხავს მისი სადიდებელი ლექსები, „მაგრამ ცხოვრებას რეალური თვალით უნდა შეხედო და გაარჩიო ავი და კარგი).

დიდი გენიოსი იყო, მართლაც გენიოსი იყო, უზარმაზარი იმპერიის შემქმნელი, რომელმაც მოიგო მეორე მსოფლიო ომი, მაგრამ საქართველოსთვის, სამშობლოსათვის იყო უბოროტესი გენია, რომელმაც ერის გონება და სინდისი, ერის ნაღები დაასამარა და დატოვა ბევრი ნაძირალა. დიდი იმპერიის შემქმნელს პატარა საქართველოს არსებობა ხელს უშლიდა. სამშობლოსადმი მიკერძოება და ნაციონალიზმი არ დამწამონო და ჰკვეთდა და ჰკვეთდა თავებს საქართველოს პატიოსნებას და სინდისს, რომ ის არ არსებულიყო.

ხშირად დღევანდელ მძიმე ეკონომიკურ გაჭირვებას, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას ერთ კაცს, პრეზიდენტს აბრალებენ ზოგიერთები, რაც არაა მართებული. დღევანდელ სიდუხჭირეს და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას უფრო ადრე ჩაეყარა საფუძველი. ეს იყო იმპერიის მიერ პირველი დაპყრობა (1801) და უფრო გამძაფრებული ხასიათი მიიღო 1921 წლიდან (მეორედ დაპყრობის დროიდან). სტალინი, ორჯონიკიძე, ფიზიკურად მოსპობის გარდა ქმნიდნენ ისეთ გარემოს, რომ დამოუკიდებლობის შემთხვევაში საქართველოს არ ეარსება, ამიტომ შექმნეს ავტონომიებიც.

სამშობლოს სიყვარულისთვის ხერეტდა და ხერეტდა უდანაშაულოთ, გაუსამართლებლად. რა დამაეწყებს 37 წლის დეკემბრის სუსხიან ღამეს ღამის ორ საათზე მამაჩემი, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის მასწავლებელი) რომ გაუყვნეს მოუსავლეთის გზას და მამაჩემის მსგავსად ათასები და ათი ათასები. რა დამაეწყებს ტიციან ტაბიძეს, პაოლო იაშვილს, მიხეილ ჯავახიშვილს და სხვებს. ქვა უნდა გედოს გულში, რომ უდანაშაულო მსხვერპლთა წინაშე მოწიწებით თავი არ დახარო და მათ ხსოვნას პატივი არ სცე. გენერალმა მახნიაშვილმა ბათუმი გადაარჩინა და 1937 წელს დახვრიტეს, „მენშევიკურ მთავრობასთან თანამშრომლობა“ გაუხსენეს. მისი ღვაწლი საქართველოს წინაშე არავის გახსენებია.

ანდრო გაგუა, ინჟინერ-ეკონომისტი, 1937 წელს 32 წლის დააპატიმრეს, მხოლოდ იმის გამო, რომ უმაღლესი განათლება გერმანიაში ჰქონდა მიღებული. დაიღუპა ციმბირში. მათი უკანასკნელი ამოსუნთქვა საქართველო იყო. ბევრმა მათგანმა დაგეგიტოვა მოგონებები ციმბირის უზარმაზარ სასაკლაოზე. ანდრო გაგუა ასე აღწერს იმ საშინელებას, რაც მან ნახა პურგის გულაგში: „ქართველს ციმბირთან რა აქვს საერთო, სად მიმაქროლებს პურგის არეში, ყინული ცეცხლთან გსურს შეაერთო, ცოცხალსა მაგდებ იქ სამარეში. თუ მოეკვდი ლეში, ბილწი და ხრწნადი, დაგლიჯოს მხეცმა თათით გასთელოს, სული გრძნეული, სული მართალი, შემოეფლება ჩემს საქართველოს“.

სტალინს საქართველო და ქართველები სძულდა. ბუდუ მდივანი მის ოთხ ვაჟიშვილთან ერთად დაახვრეტინა. როგორც ქორიაშვილის წერილიდან გავიგეთ, მიცვალებულებს, დაუმწვარი კირი დააყარეს, რომ ძვლები გამქრალიყო. ძვლები რაღას უშავებდა ნეტავ?! ბუდუ მდივანი აქტიური მონაწილე იყო საქართველოში მე-11 არმიის შემოსვლისა, მაგრამ სტალინს წინააღმდეგობა გაუწია ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნაში, სტალინმა ეს დაიმახსოვრა და მიახვრიტა (და აგრეთვე მისი ნათესაობა, სულ 40 სული).

სტალინს ეკუთვნის ცილისმწამებლური განცხადება საქართველოს მიმარ: „ქართული შოვინიზმი მიმართულია, სომხების, ოსების, აჭარლების და აფხაზების წინააღმდეგ (ტ.5 გვ. 208) ქართველი კაცი აჭარელს

გაგრძელება მე-12 გვერდზე



ერი და ადამიანები ერთად იქმნებიან

შოთა ნადირაშვილი

მეექვსე გვერდიდან

როგორც ერთიანი, ერთობლიობა, რელიგიური მოძღვრება ამის შესახებ არ ამბობს ასე, მაგრამ რა ვქნათ, ეხლა, იმ რეალური ურთიერთობების მიხედვით, რომელიც ავსტრალიასა და საქართველოშია, ისინი არ ყოფილა. არ არის ეს გამორიცხული კიდევ. ჩვენ გვყავდა ერთი ფსიქოლოგი იუნგი, რომელიც ცდილობდა მოენახა მთელი კაცობრიობისათვის საერთო ფსიქიკური წარმონაქმნები და არაცნობიერში ეძებდა ისეთ რამეს, რომლის კარგი შინაარსეული დახასიათების შემდეგ აღმოჩნდება, რომ ის ჩვენი ბიოლოგიური საერთოა და არა სოციალური, და არა, მით უმეტეს, სულიერი საერთო. მე იმის თქმა მინდა, რომ ერი, როგორც გარკვეული ერთეული, უნიკალური არსება, ვითარება, იქმნება და სხვა ერებთან ურთიერთობაში აყალიბებს თავის თავს.

იმის თქმა მინდა კიდევ, რომ პერსონიფიკაცია, როგორც გითხარით, ეს სულიერი არსების დამახასიათებელია და ერიც ახდენს თავის პერსონიფიკაციას, თავის გამოყოფას, თავის თავის იდენტიფიკაციას, ვინ არის, რას წარმოადგენს, ვისთან უფლებაში შედის და ა.შ. ამ დებულებისათვის მინდა მე ხაზგასმა, რომ თუ ერი სულიერი ფენომენია, ის უნიკალურია, და სხვა ერებთან ურთიერთობაში იქმნება და ქმნის თავის სულიერ არეს, მას ისევე სჭირდება დაცვა, რადგან ღირებულებაა თავისთავად, როგორც პიროვნებაც ღირებულებაა თავისთავად. მას ამიტომ დაცვა სჭირდება. ამიტომ ერთი ერის მიერ მეორე ერის ასიმილაცია, შეჭმა, კანიბალიზმია ეროვნული. ისევე, როგორც ადამიანები სულიერები რომ გახდნენ და სულიერი... ცოცხალი არსების ჭამა შეიძლება, ქათამს ეკლაკეთ და ეჭამთ, გოჭს ეჭამთ... სულიერი არსების შეჭმა არ შეიძლება და მისი სიცოცხლის, სულიერების ხელშეხება არ შეიძლება, ერებიც ასევე არიან და ერების ასიმილაციის დროს იმპერიული ერები თავის ეროვნულ სტრუქტურას კარგავენ და თვითონ განიცდიან ასიმილაციას.

იდენტიფიკაციის მოხდენის პროცესში ერი უნდა ჩამოყალიბდეს, როგორც სხვა ერებთან მიმართებაში მყოფი და სახელმწიფო (მე გადავახტები ბევრ რამეს) ეს არის ერის ჩამოყალიბების საბოლოო ფორმა, ისევე, როგორც ადამიანი, აი, მე გითხარით, 17–20 წლის ასაკში ყალიბდება, პიროვნებად იქცევა, ეს უკვე არა მხოლოდ ადამიანია, არამედ პიროვნებაცაა, რომელსაც აქვს ნება, თავისუფალი არჩევანი, გამოხატვის ფორმა და ა.შ. თუმცა მე იმის თქმაც მინდა, რომ, სამწუხაროდ, როგორც დადასტურდა გამოკითხვების მიხედვით, 29–39 წლის ასაკში ყალიბდებიან ჩვენი ახალგაზრდები პიროვნებებად იმ თვისებების მიხედვით, რაც პიროვნებისთვის დამახასიათებელია. 40 წლის ადამიანები ძალიან ხშირად არიან ბავშვის მდგომარეობაში, რომელსაც ვიღაცაზე დაყრდნობა უნდა, ვერ ბედავს, ვერ აკეთებს.

ეს ჩვენთვის ძალიან დამახასიათებელია, იმიტომ, რომ ჩვენი პიროვნებები ოჯახიდან გვიან გამოდიან, სოციალურიც, ეკონომიური ვითარებაც, ყველაფერი ხელს უწყობს, რომ უპიროვნებო იყოს. ასე დაემართა ჩვენს ერსაც ამ 200 წლის მანძილზე...

ხშირად ვყვები ხოლმე, პირველად ენახე ინგლისური ფილმი, სახლში რომ ლომი გაზარდეს და მერე, რომ გახდა სამი წლის, გაუშვეს ტყეში და მოვიდა უკან, კუნდღლის დაჭერა არ შეუძლია, არ შეუძლია ლომობა და ორი წელიწადი ასწავლეს ლომობა, ტყეში დაყვებოდნენ და ნადირობას ასწავლიდნენ და მერე გაუშვეს ისევ.

ეხლა ჩვენ 200 წელი დავკარგეთ ეროვნებად ყოფნის საშუალება და უნარი და ამიტომ ვერ ვიქცეოთ ისე და ვერ ვაკეთებთ ამას, ეს ძალიან ბუნებრივი პროცესია.

მაშასადამე, ერი წარმოადგენს ისეთ ინსტანციას, ისეთ სუბიექტს, ისეთ არსებას, რომელიც ყალიბდება, იქმნება, კულტურას ქმნის, სასიცოცხლო ამოცანებს ამოხსნის, სხვა ერებთან ურთიერთობაში შედის, ერთი მთლიანობაა და შეიძლება მოკვდეს, შეიძლება დატოვოს მკვდარი კულტურა, მკვდარი ენა, ისევე, როგორც ყველა სულიერმა და ცოცხალმა არსებამ; და თუ ასე შეეხედავთ ერს, მაშინ ერის უფლებების დაცვისათვის ბრძოლა აზრიანი და ფასეულია. დიდ ერებს ეს მაინცდამაინც არ აწუხებთ და აშკარად არ დგება ეს საკითხი, და პატარა ერების საქმეებია. ასეთი დიდი საქმის აღსრულების უნარი, როგორც ეროვნული უფლებების საკაცობრიო საქმედ გადაქცევაა, ასეთი დიდი რამ პატარა ერის არც პოლიტიკურ და არც მეცნიერულ წარმომადგენლებს არ გააჩნიათ.

ახლა, დადგება საკითხი ჭეშმარიტებისა და ერის შესახებ და ამითი მე დავამთავრებ. რაც უნდა სხვადასხვა განმარტება მოგვეცენ და სხვადასხვანაირად ვილაპარაკოთ თუ სხვადასხვა გაგებაა, მაშინ ნუდარ ველაპარაკობთ, ერთი საგანი გვაქვს მხედველობაში. ჭეშმარიტება თუ თვითონ ღმერთია, ე.ი. ეს მომხდარია, ჰიპოსტაზირებულია ჭეშმარიტება. ჭეშმარიტება თვითონ გარკვეულ არსებად თუა გამოცხადებული, რა თქმა უნდა, ჭეშმარიტებას იმ მნიშვნელობით ველარ ავიღებთ, რა მნიშვნელობითაც ვიყენებთ. ჭეშმარიტება, როგორც ფილოსოფოსებმა იციან, არის აზრი, შემეცნების თვისება, რომ იმან ასახა თუ არა ის, რაც აზრს, შეხედულებას, მსოფლმხედველობას ეკისრება. აი, თუ ასახა, მაშინ ჩვენ ვამბობთ – ჭეშმარიტია. აზრი კულტურის, მეცნიერების თვისებაა, ამიტომ ადამიანის აზროვნებას აქვს თვისება, იყოს ჭეშმარიტი ან მცდარი. ადამიანი თვითონ უდიდესი ღირებულებაა. მისი სამოქმედიდან და აზროვნების შედეგებიდან ზოგიერთი შეიძლება იყოს მცდარი და ზოგიერთი ჭეშმარიტი.

ადამიანი არის ის პირველადი თვისება, პირველადი „ინსტანცია“, რომელიც დიდი ღირებულებისაა. არ შეიძლება ადამიანის დახვრეტა, მოკვლა იმისათვის, რომ ჭეშმარიტებას უღალატა, რომ შეცდა, მისი აზრი თავისუფალია. უფლება გვაქვს მივანიჭოთ, რაც უნდა, ისე იფიქროს, იმიტომ, რომ ის არის... ის თვითონ არის ღირებულება.

ამიტომ ის ჭეშმარიტს იტყვის თუ არაჭეშმარიტს, ეს ადამიანზე მაღლა ვერ დადგება, ეს ადამიანის თვისებაა, ეკზისტენცია აქვს არა ჭეშმარიტებას, ჭეშმარიტება არის სხვა რამის თვისება; ადამიანი და ერი არის თვითონ არსებული ღირებულება – რომელსაც არსებობა აქვს და არსებულის შესახებ თავისი ცნობების მოწოდება შეუძლია. ამიტომ თავისთავად, აბსტრაქტულად, თუ ასე დავაყენებთ საკითხს, სხვადასხვა სიბრტყეში არიან ერიც და პიროვნებაც, ეს ძირეული ინსტანციაა. რომელსაც თავისი არსებობის გამოხატვა შეუძლია, ეს არის ერი თავისი ბუნებით, ეს არის პიროვნება თავისი თავისუფლებით და ცნობიერებით.

ჭეშმარიტება ეს არის მისი მოღვაწეობის ერთი თვისება, მისი მოღვაწეობა სწორად გამოხატავს რამეს თუ არასწორად. ამიტომ თუ ასე დავაყენებთ საკითხს, ცხადია, რომ პიროვნება ბევრად უფრო დიდი ღირებულებაა, ერი ბევრად უფრო დიდი ღირებულება, ვიდრე ჭეშმარიტება. ჭეშმარიტება შეიძლება შეეშალოს ადამიანს, მისი დახვრეტა, მისი მოსპობა არ შეიძლება. თავისუფალია იგი.

ამიტომ ასეთი რამე: ჭეშმარიტება შეიძლება ერზე მაღლა იდგეს, ჭეშმარიტება შეიძლება პიროვნებაზე მაღლა იდგეს, ეს აბსურდია.

ვიღაცა ამბობს, მე უფრო მირჩევნია და მიდრეკილი ვარ ვემსახურო ჭეშმარიტებას, ვიდრე ერს და ვიდრე ადამიანს. ეს მისი თავისუფლებაა, მისი არჩევანია, მას შეუძლია ასე, რომ ემსახუროს ჭეშმარიტებას და ერს არ ემსახუროს, და აქედან არ გამოვა ის, რომ რასაც ის ემსახურება, უფრო მაღლა დგას თავისთავად, ვიდრე მან დააყენა. ჩემთვის შეიძლება უდიდესი ღირებულება იყოს ეკონომიკური მდგომარეობა, ფულის მოპოვება და მილიონერი მინდა გავხდე და ყველაზე დიდი ღირებულება მივანიჭო ფულს, რომელიც მართლაც დიდი ღირებულებაა, მაგრამ თავისთავად აქვს თუ არა დიდი ღირებულება თვითონ იმ ადამიანის სიცოცხლეზე, ეს საკითხი რომ დადგეს, იძულებული ვართ, ვთქვათ, რომ – არა. იმიტომ, რომ ეს არის აქტივობის ისეთი ინსტანცია, სინამდვილე ამითი იქმნება.

ეხლა, მე კიდევ ერთი ასპექტი მინდა თვითონ მერაბ მამარდაშვილის ამბებში... თქვენც კარგად იცნობდით და მეც ისეთი ახლობლობა მქონდა, რაღაცნაირად მეგობრობასაც გაედა. ჩვენს ინსტიტუტში დამყადა და ლექციებს გვიკითხავდა. იცით რა, ეხლა; იმან თქვა: „ჭეშმარიტება ერზე მაღლა დგასო“. კი, თქვა და ეს მართლა გაბედული ნათქვამია. გაბედულობის გამო იყო ამაში ის მიმზიდველობა ფრაზისა, თორემ მამარდაშვილი – თქვენ ნუ იფიქრებთ, რომ აი... თუ საკითხი დადგება პატრიოტიზმისა და კოსმოპოლიტიზმის ასპექტში, თქვენ ნუ იფიქრებთ ტყუილად, რომ... მე ჯიბეში ვეძებ ერთ-ერთ ჩანაწერს, რომელიც მე დამაქვს ერთი-ორი წელიწადია და თუ სადმე მომიხდება ხოლმე ამის შესახებ ლაპარაკი, ამოვიღებ ხოლმე. ესაა მამარდაშვილის აზრი. აი, ეხლა მე ციტატას გიკითხავთ:

„ინტერნაციონალიზმი ფიქციაა, რომელიც გვაცხრობს. თან სიტყვის მნიშვნელობაც არ გვესმის. ინტერნაციონალიზმი, როგორც ცნება, არასოდეს არ ნიშნავს ხალხთა მეგობრობას. ხალხს, ვისი იდეოლოგიაც ინტერნაციონალიზმია, არ გააჩნიათ სამშობლო და იმიტომ“...

ესაა მისი შრომიდან და მერე მოდის საინტერესო... ესაა:

„დავიცვათ ჭამაში წესები“. გაზეთი „თბილისი“, 9 სექტემბერი, 89 წელი.

თვითონ მერაბ მამარდაშვილი ინტერნაციონალისტი სულაც არ ყოფილა. პატრიოტი კაცი იყო და ძალიან დიდ პატივს სცემდა პატრიოტიზმს. მისი პირადი ურთიერთობა მაშინ პატრიოტად არსებული და ცნობილი ხალხის მიმართ, ამან დაბადა ის უბედურება და ამან გამოიწვია ის ამბავი და არა იმან, რომ მამარდაშვილი არის ინტერნაციონალიზმის იდეოლოგიის მომხრე.

აი, ამის თქმა მინდა და კიდევ ერთი ასპექტიც არის. მე ამითი მინდა დავამთავრო. მამარდაშვილის ფრაზაში მაინც გაუცნობიერებლად ის დებულება იყო, რომ... იცით, რა?.. სამშობლოს ვემსახუროთ სიყალბით და ცუდი ამბებით, მე ამას მირჩევნია, ჭეშმარიტი ამბები ვთქვა. რა იგულისხმება ამ საუბარში? არაჭეშმარიტების გზით ფაქტიურად სამშობლოს ვერ მოემსახურები, ამიტომ ურჩევნია მას ჭეშმარიტება და არა ის, რომ სამშობლო და ერი დაბლა დგას ჭეშმარიტებაზე. ეს მართლაც ასეა, ვერაფრით ვერ მოემსახურები შენს ერსა და შენს ქვეყანას, ვერაფრით ვერ იქნები პატრიოტი, თუ შენ სიყალბეზე დააფუძნებ შენს საქმიანობას; და სიყალბეს რომ ჭეშმარიტება ჯობია, აი, ამით ნათელყოფს მამარდაშვილი. თუმცა იმ კამათში, ჩვენ რომ ვკამათობდით, მე და ზურაბ კიკნაძე, თქვა, ეგეთი ბანალური ჭეშმარიტების გამოა ის დიდი მოაზროვნეო? არ არის ეგრეო. მე მგონი, მაინც ასეა, ჩვენ ბევრი სხვა საკამათოები გვქონდა, ვიკამათეთ. ეხლა ეტყობა, ამ თვალსაზრისით ეს ამბავი კმარა და მე თუ შეეძელი ამ დებულების თქმა, რომ, ბ-ნი ზურაბი ამბობდა, სახარებაში ერის შესახებ არაფერია და ამიტომ დიდი რეალობა არ არისო, მე ვერ დაგეთანხმებით. სახარებაში სამყაროს გაჩენა 7000 რაღაცა წელს ეკუთვნის, არა? რომის პაპმა თქვა, რომ სახარებაში არსებული კოსმოგონია არ არის მისაღები და სწორი. უნდა ვთქვათ, ზოგიერთი რამ სახარებაში, რაც ადამიანთან ურთიერთობასა და მორალზეა, ის ამაღლებულია და დაუძლეველია და უმაღლესი დონეა, მაგრამ ყველაფერი ის, რაც სახარებაშია, მით უმეტეს, ერის არარსებობა და ნაკლებღირებულებად გამოცხადება, მე არ მიმაჩნდა მართებულად და ჩვენი აზრთა სხვადასხვაობა სწორედ ამაზე იყო აგებული.

ერი თუ არსებობს, ამის მიუხედავად, სახარება როგორ განიხილავს, მეცნიერება აუცილებლად უნდა იკვლევდეს ამას და მეცნიერებას აქვს თავისი საზომები და თავისი მეთოდები. ერთ-ერთი დიდი რელიგია, კაცობრიობისთვის თვითონ მეცნიერებაა, მეცნიერება აკეთებს ისეთ რამეებს, რომელსაც ვენდობით ჩვენ ბევრი და... მე ვენდობი მათ შორის...

ამიერკავკასიაში ახალი მოვლენების გამო

საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტის განცხადება

ამიერკავკასიაში მიმდინარე ცვლილებები, კერძოდ, სომხეთის პრეზიდენტის გადადგომა და სომხეთის პრეზიდენტის არჩევნების დანიშვნა მიმდინარე წლის მარტისათვის, ერთის მხრივ, და, რუსეთის პრეზიდენტის განცხადება III მსოფლიო ომის საშიშროების შესახებ, რომლებიც რუსული ტელევიზიით გახდა ცნობილი, მეორე მხრივ, გვაიძულებს ჩვენ, საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ეროვნულ კომიტეტს, ქართველი ხალხისა და საქართველოს მოქალაქეების საყურადღებოდ განვაცხადოთ შემდეგი:

საქართველოს ერთ-ერთი სასიცოცხლო ინტერესია მშვიდობა მეგობარ სომხეთსა და მეგობარ აზერბაიჯანს შორის. შესაბამისად, საქართველოსთვის უბედურებაა მათ შორის არსებული შეიარაღებული კონფლიქტის ყოველი გამწვავება. ასევე სასიცოცხლო ინტერესია საქართველოსთვის სომხეთის დამოუკიდებელი პოლიტიკის გაგრძელება, რაც მთელი ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის, თავისუფლების, უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია. პატივს ვცემთ რა სომეხი ხალხისა და სომხეთის ხელისუფლების შეუვალ უფლებას თვითონ განსაზღვრონ თავისი ქვეყნის პოლიტიკის ყველა ასპექტი საგარეო პოლიტიკის ჩათვლით, ჩვენ რუსეთის პრეზიდენტის ზემოხსენებული განცხადებების კონტექსტში გამოთქვამთ შეშფოთებას იმ ვითარების, როგორც თეორიულად ერთ-ერთი შესაძლებლის, გამო, რომელიც შეიქმნება იმ შემთხვევაში, თუ სომხეთი შეუერთდება რუსეთისა და ბელორუსიის კავშირს, ხოლო რუსეთი თავის პოლიტიკას ამიერკავკასიის მიმართ წაიყვანს იმ მიმართულებით, რომელიც ნაგულისხმევია რუსეთის პრეზიდენტის ზემოხსენებულ განცხადებებში ინტერვიუების დროს. რამდენადაც რუსეთის პრეზიდენტი, კერძოდ, ბრძანებს, რომ სომხეთი რუსეთისთვის საინტერესოა, როგორც რუსეთის სტრატეგიული სივრცის ნაწილი, და რომ ერაყში ომის დაწყებას შესაძლოა მესამე მსოფლიო ომი მოჰყვეს, ამასთან, რამდენადაც ჩრდილოეთ კავკასიაში და ვოლგოგრადის სამხრეთით განლაგებულია რუსეთის, სულ ცოტა, სამი არმია, მათ შორის ერთი – სატანკო, რაც ხელსაყრელი პირობაა აზერბაიჯანზე დარტყმისათვის და მის შედეგად განხორციელებული გარღვევის საქართველოზეც გავრცელებისათვის, რომელშიც დღესდღეობით რუსული სამხედრო ბაზებია განლაგებული, ამდენად საფუძველი არსებობს ვარაუდისათვის, რომ რუსეთს თავისი პოლიტიკის ერთ-ერთ შესაძლო ვარიანტად განსაზღვრული აქვს მცდელობა, კიდევ ერთხელ სამხედრო ძალის გამოყენებით გაავრცელოს თავისი გავლენა ამიერკავკასიაზე ამ რეგიონის ქვეყნების – მათ შორის, საქართველოს სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობის, უსაფრთხოებისა და ღირსების საზიანოდ. საქართველოს ხელისუფლების დღეს არსებული საგარეო პოლიტიკა, საქართველოში რუსეთის სამხედრო ბაზების არსებობისა და რუსეთის მესაზღვრეების მიერ საქართველოს საზღვრის ერთი ნაწილის დაცვაზე მისი თანხმობის ჩათვლით, იმის საშიშროებაზე მეტყველებს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ სომხეთის ხელისუფლების საგარეო პოლიტიკის ზემოხსენებული არასასურველი შემორჩენების შემთხვევაში შესაძლოა ხელი შეუწყოს რუსეთის გავლენის ზემოხსენებულ ზრდას ამიერკავკასიის რეგიონში, სახელდობრ, დაუშვას თავის ტერიტორიაზე სამხედრო ტვირთთა ზიდვა რუსეთსა და სომხეთს შორის და პასიურად შეეგუოს აზერბაიჯანსა და საქართველოზე რუსეთის სამხედრო შემოტევის ხიფათს. საქართველოს ხელისუფლების ამგვარი პოზიცია, თუ რეალურად მისი არჩევა მოხდა, ვერ დაკვალიფიცირდება სხვაგვარად, თუ არ როგორც საქართველოს ინტერესების ღალატი.

მოვუწოდებთ საქართველოს პრეზიდენტს და პარლამენტის წევრებს, გაითვალისწინონ ზემოხსენებული გარემოებები.

სბრპ ეროვნული კომიტეტი

ინფორმაცია

მერი საკითხის გარკვევას სასწრაფოდ ითხოვს

ნაძალადევის რაიონის გამგებლის, ნიკო კახეთელიძის თქმით, ფოსტაში პენსიების დარიგებისათვის მისულ თანხებს ხშირ შემთხვევაში კომერციული საქმიანობისათვის იყენებენ. მისივე ინფორმაციით, მცირერიცხოვან პენსიებს სხვადასხვა სახის დაქვითვებს უკეთებენ, რაც პენსიონერთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს. თბილისის მერმა, ბადრი შოშიტაიშვილმა საკითხის დეტალური შესწავლა და შედეგების დღესვე გაცნობა მოითხოვა. (გეა)

«ბენზოკალონკები» უნებართვოდ ფუნქციონირებდნენ

თბილისის ადმინისტრაციული ინსპექციის უფროსის, ირაკლი გვალიას ინფორმაციით, ინსპექციამ ქალაქის 4 რაიონში შეისწავლა ავტოგასამართ სადგურებში არსებული მდგომარეობა. შესწავლილი ობიექტებიდან ექსპლუატაციაში გაშვების დოკუმენტის არარსებობის გამო 11 დაილუქა. მისივე ინფორმაციით, მთაწმინდის რაიონში 30 უნებართვო მშენებლობა შერერდა. (გეა)

აუცილებელია კავკასიური «ეუთოს» შექმნა

სომხეთში ხელისუფლების შეცვლასთან დაკავშირებით, ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა მოელადი უდუგოვმა თქვა:

„ის, რაც ერევანში მოხდა, კავკასიელ პოლიტიკოსთა უნებისყოფობის კანონზომიერი პროცესია“.

ჩეჩნეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელი თვლის, რომ კავკასიის რეგიონში რუსეთის აქტიურობა დიდი ხანია მოსალოდნელი იყო, რაზეც მისი თქმით, ჩეჩნეთის ლიდერებმა არაერთხელ გააფრთხილეს ამ რეგიონში შემავალი სახელმწიფოები. „ჩვენ ვამბობდით და ახლაც ვამბობთ, რომ აუცილებელია კავკასიური „ეუთო“-ს შექმნა. ყველამ, ვინც კი კავკასიელად თვლის თავს, უნდა გაიგოს, რომ რეგიონში პრობლემის გადაჭრაში მესამე ძალა ვერ დაგვეხმარება. თუ კავკასია ვერ შესძლებს გაერთიანებას, რუსეთი საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში ყველაფერს მოიმოქმედებს, რაც კი მოესურვება“ – აღნიშნა მ.უდუგოვმა. მისივე თქმით, აუცილებელია კავკასიის სამშვიდობო ბატალიონის შექმნა, რომელიც შეიძლება გაიგზავნოს ყარაბაღში, აფხაზეთსა და სხვა ცხელ წერტილებში. იგივე ბატალიონი გახდება რეგიონში სტაბილურობის გარანტი, ხოლო კავკასიის ნებისმიერ სახელმწიფოში ხელისუფლების შეცვლა, საფრთხეს არ შეუქმნის სხვა რესპუბლიკებში არსებულ ვითარებას. (იფრინდა)

მიხეილ მაჭავარიანი:
ზოგს ბრეჟნევი ვგონივარ

მეოთხე გვერდიდან

უცებ დაუდებდნენ მთელ ინფორმაციას იმ ხალხს, ვინც ჩემსა და „მოქალაქეთა კავშირის“ განადგურებას ცდილობდა.

– იუნებ შალვა რჩეულიშვილს არ ჰქონდა მიზნად თქვენი და ორგანიზაციის განადგურება?

– გამორიცხულია. შეტევის დროზირებას გააჩნია. ყოველთვის ვგრძნობ, როდისაა ჰატარ-ჰატარა წკიპურტები თუ სერიოზული დარტყმა. ბოლოს იგი მიხვდა, რომ წააგებდა და უკან დაიხია.

– თუ გარიგება მოხდა?

– არა. გიამ ბოდიში მოუხადა. გარიგება რომ მომხდარიყო, მაშინ „მოქალაქეებსა“ და ვახტანგ რჩეულიშვილს შორის რა დაპირისპირებაც მიმდინარეობს, აღარ იქნებოდა.

– ესე იგი, დეკლარაციის მართლა არ გეშინიათ?

– პირიქით. მე, გია ბარამიძე და ბ-ნი ზურაბი დიდი სიამოვნებით შევავსებთ ამ დეკლარაციას. მაგრამ თქვენ გგონიათ კარგია გაღლეტილი დეპუტატი ჰყავდეს ქვეყანას? ან მოსამართლე, ან მინისტრი?

– მაგრამ თქვენ შეგიძლიათ და ასევე არის, რომ ვოლაცვებისთვის „კრიშა“ იყოთ და აქ ნახოთ სარგებელი. ეს არაა მაფია?

– ეს მანკიერი პრაქტიკაა და ამას ბოლო უნდა მოეღოს. ყველაზე დიდი უბედურებაა, როდესაც ხაზინიდან კეთენილს არ გაძლევენ და იქ აქციოლებლად თანამდებობის პირმა უნდა დარეკოს. პროცენტსაც ატოვებინებენ. წესი დაადგინეს – 8% თუ 10%. ახალი წლისთვის კი 20% ავიდნენ, რადგან მოთხოვნა დიდი იყო. ამ მანკიერების გამო მეც მომმართავენ ხოლმე და დაახლოებით 3 მილიონ ნახევრამდე გამოვატანინე კუთენილი ტრანსფერტები თუ თანხები. მე როცა ერეკავ, პროცენტს აღარ ართმევენ და თქვენ წარმოიდგინეთ, რამდენი თანხა მიედინება ვოლაცვების ჯიბეში. გადაირევი კაცი, მიეცით ამ ხალხს, რაც ეკუთვნის, ნუ აწვალებთ და ნუ ამათხოვრებთ. სანამ ეს მაგნე პრაქტიკაა, კორუფციის პრობლემა იქნება.

– თქვენ არ ილებთ პროცენტს?

– ეს იმ ხალხს ჰკითხეთ, ვისაც ვეხმარები.

– დიდ ობიექტებზე, როგორც წესი, დეპუტატი – „კრიშები“ სამეთვალყურეო საბჭოში არიან.

– ბიუროზე მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ კანონში შეეფდეს აკრძალვა. ვინც არჩევნებამდე იყო სამეთვალყურეო საბჭოში, მას ვერ გამოიყენან, რადგან კანონს უკუქმედება არა აქვს, მაგრამ არჩევნების შემდეგ დეპუტატს ამის უფლება არ ექნება. თუმცა ამ აზრს დიდი წინააღმდეგობა აქვს პარლამენტში. დიდი პოლიტიკა და დიდი ბიზნესი ურთიერთკავშირშია, მაგრამ არა ისე, რომ მე შენ რაღაცას გაგიკეთებ და შენ მომიტანე თანხა ჩემი ჯიბის გასასქელებლად. ეს დაანგრევს ქვეყანას. მაშინ უნდა შევიმუშაოთ კანონი ლობის შესახებ, რომელიც დაარეგულირებს, რა არის კორუფცია და რა არის მხარდაჭერა, სად გადის ზღვარი კანონსა და მის დარღვევას შორის. დღეს ბიზნესმენი მართლაც ყველაზე დაუცველია და ყველა მას ღლეტს. თუმცა ჩვენ კი მივიღეთ კანონები.

– კანონები, რომლებიც სხვაგვარად იკითხება და სხვაგვარად სრულდება?

– დიახ. ამ წელიწადში ჩვენი ფრაქცია ამ საკითხზე იშუშავებს. ორ კვირაში ერთხელ მოვისმენთ ინფორმაციას, როგორ სრულდება ადგილებზე მიღებული კანონები და პრეზიდენტის ბრძანებულებები.

– ეფიქრობ, ეს მოელენები რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება, ძველი, კომუნისტური ხანის გადმონაშთია და მე გეკითხებით თქვენც და თქვენს პრეზიდენტსაც: რატომ აკეთებთ, რომ აღმასრულებელი ორგანოები და სასამართლო ხელისუფლება ზევიდან ქვემომდე გაძეძგილია ძველი, კომუნისტი ფუნქციონერებით?

– ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისა და რეფორმების დროს ეს ყველაფერი თავის ადგილზე დადგება. ხალხი აირჩევს იმას, ვისაც ენდობა.

– ჰოდა, ნოსტალგია მაინც აქვთ, თან გაყალბებაც ხდება ხოლმე და ისევ კომუნისტებს აირჩევენ.

– მოდით, გავაკეთოთ ყველაფერი, რომ ასეთი არჩევნები არ ჩატარდეს. თუ ამაზე თვალს დახუჭავ, ისე მოელენ, ეერაფერსაც ვერ მიხვდები. ამავე დროს ამ ხალხში ბევრია ისეთი, რომლებიც ქვეყნისათვის მაშინაც ბევრ კარგ საქმეს აკეთებდა. მათი გამოცდილება უნდა გამოიყენო. ცხოვრება ხომ გამოცდილებაა. არიან ადამიანები, რომლებიც ახალ რეალობას ეგუებიან.

– ძნელია გენერალური მდივნობა?

– ძნელია იყო დეპუტატი და ამავე დროს მმართველი პარტიის გენერალური მდივანი, რადგან ხალხისაგან რა პრობლემებიც მოდის ხმამაღლა, პირველმა უნდა იყვირო. წყალი არაა. შუქი არაა – შენ უნდა იყვირო. ეცდილობ თანხვედრა მოხდეს და ოქროს შუალედი ვიპოვო. ისე ჩვენ, არ არსებობს საკითხი, რომელსაც „მოქალაქეთა კავშირი“ ყურად არ იღებდეს და არ აყენებდეს. მართალი გითხრათ, ზოგს ბრეჟნევი ეგონივარ, ყველა წვრილმანზე თუ მსხვილმანზე ჩემთან გამორბიან.

– თქვენი წინასაარჩევნო დაპირება იყო ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. ეს როგორღა შეასრულეთ? რატომ ჭიანურდება ეს საქმე?

– იმიტომ, რომ ვიღაც-ვიღაცეებს სურთ სტაბილური არასტაბილურობა იყოს ჩვენს ქვეყანაში. ამ შემთხვევაში მხოლოდ ჩვენს დიდ მეზობელზე არ ვსაუბრობ. ძალიან ბევრი ძალა არსებობს საქართველოშიც და მის გარეთაც, რომელსაც ეს უნდა. როგორც კი რაღაც პოზიტიურს ვიწყებთ, მაშინვე ათასი პრობლემა ჩნდება. გუდაუთის რეჟიმის ხელმძღვანელის აქ ჩამოსვლა იყო იმის ნიშანი, რომ ჩვენი სამშვიდობო პოლიტიკა სწორია.

– თუ მისი ჩამოყვანა რუსეთის პოლიტიკის ნაბიჯი იყო, რომელმაც გეთხრა: მე ყველაფერი შემიძლია და დამტოვე აფხაზეთში?

– პოლიტიკაში ასეა, მაქსიმალური მოგება უნდა ამოიღო ყველა სიტუაციიდან. ამ თვისების გამო ეაფასებ ჩვენს პრეზიდენტს. ყველგან ეძებო მეგობრები და მოხდეს ჩვენი და მათი სტრატეგიული ინტერესების თანხვედრა, ესაა შევარდნაძის საგარეო პოლიტიკა. როგორც კი ეს ბალანსი დაირღვევა, ყველაფერი იშლება.

– არჩევნებამდე გადაწყდება აფხაზეთისა და სამაჩაბლოს საკითხი?

– სამაჩაბლოში ცოტა სხვა სიტუაციაა. იქ გაღლა და შესვლა არაა პრობლემა. ბიზნესიც ინტენსიურად ვითარდება. იქ მხოლოდ აყრილი მოსახლეობის დაბრუნების პრობლემაა. კავკასიაში მიმდინარე პროცესები ამ პრობლემას დააჩქარებს და ჩვენს სასარგებლოდ გადაწყვეტს. სოხუმში კი მთავარია ნიადაგი მოვამზადოთ, რათა ფეხის დასადგმელი გვქონდეს, შემდეგ კი ნაბიჯის გადადგმაც შეიძლება. ამის წინააღმდეგ კი ბევრია მომართული.

– სოციალური პრობლემა? ხალხი გარბის, მილიონ ნახევარი კაცია საზღვარგარეთ გაქცეული.

– ეს ხალხი დაბრუნდება. ფესვებს, როგორც წესი, ქართველი კაცი არ იჭრის. მალე ისინი თავისი საქმიანობისათვის საქართველოში საუკეთესო ნიადაგს ნახავენ და დაბრუნდებიან. ეხედავ, არ გჯერათ, მაგრამ ეს ასე იქნება.

– სოციალურის გარდა არის პოლიტიკური ემიგრაცია.

– არავითარი პოლიტიკური დევნა ჩვენთან არაა. აგერ ზვიადისტებიც იკრიბებიან და პრესკონფერენციებსაც მართავენ. სასათბურე პირობები შეიძლება აქ არაა. როცა რაღაცას გაბრალებენ, პასუხს გასცემ, აბა, რას იზამ? დანაშაულს თუ ჩაიდენენ, ამაზე რეაგირება ხდება. ხელისგულზე მათ არავინ დაისვამს.

– ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევები ხომ ხდება?

– ვერ დაგეთანხმები. ადამიანის უფლება მაშინაც ირღვევა, როდესაც ხელფასს არ აძლევენ.

– ამაზე არ გეკითხებით. გაიხსენეთ შარშანდელი 26 მაისი, როდესაც ჩემს კოლეგებს სცემეს და აპარატურა წაართვეს. სანამდე უნდა გაგრძელდეს ეს მიტინგების დარბევა. მითუმეტეს, 26 მაისს, ეს დღე ხომ ყველა ქართველისათვის აღდგომის დღესასწაულის ტოლფასია?

– არის კანონი და არაფის არ უშლის მიტინგისა და მანიფესტაციის გამართვას.

– სად?

– მიჩენილ ადგილზე.

– ჩვენი კონსტიტუცია არავითარ მიჩენილ ადგილზე არ გვეუბნება.

– ასეთი კანონი მიეიღეთ და გაგვასამართლეთ ცუდი კანონის მიღებისათვის. მანიფესტაცია და მსვლელობა ყველგან შეიძლება, ხოლო მიტინგის გაძართვამ მოქალაქეს ხელი არ უნდა შეუშალოს.

– მიტინგებსაც არბევენ და მანიფესტაციებსაც. მილიცია არბევს. კომუნისტების მიტინგებს, რა თქმა უნდა, არ არბევენ.

– ვიღაცამ გამოიწვია პროვოკაციაზე და იმანაც დაარტყა, ჩვენ რა ვქნათ? სამწუხაროდ, მართლაც არის ქვეყანაში ადამიანის უფლებების დარღვევები. კარგია, რომ ამის შესახებ ქვეყანაში სერიოზულად საუბრობენ და იღწვიან.

– თქვენ თავბრუდამხვევი კარიერა გაიკეთეთ, რამ განაპირობა ეს?

– ისე თავისთავად მოვიდა ყველაფერი, რომ არ ვიცი რატომ. რატომღაც ჩემს გარშემო ვინცაა, ყველა მენდობა.

– მაინც რა ნიშნით აგირჩიათ ჯერ ზურაბ ჟვანიამ და შემდეგ შევარდნაძემ?

– ხომ გითხარით, არ ვიცი. პირადად ლოგიკურად რომ ვიაზროვნოთ, არანაირ ღირსშესანიშნაობას არ წარმოვადგენ. ვარ ჯიუტი და თუ რამე საქმეს ჩაეუჯექი, ბოლომდე მიყვარს მიყვანა, მაგრამ თუ ძალიან არ გამიტაცა რამემ, სულ ხვალისთვის ვდებ.

– პრეზიდენტობაზე არ ოცნებობთ?

– არავითარ შემთხვევაში.

– რატომ?

– კარიერა არ შეიძლება იყოს სულ ვერტიკალი. ეს რჩეულთა საქმეა. მთავარია ვაკეთო ის საქმე, რისიც მჯერა. ისე, თუ ქვეყანაზე ხარ მიწისმთხრელი, პირველი მიწისმთხრელი უნდა იყო. თუ ადამიანი გჯობნის, უნდა ადგე და დაუთმო.

– აკი ჯიუტი ვარო?

– ეს სხვაა. სხვათა შორის, პარლამენტში არის ისეთი მომენტები, რომ კენჭისყრას არ ვესწრები ხოლმე. რადგან არ შემიძლია ჩემი პრინციპის წინააღმდეგ მივცე ხმა.

– საქართველოს მომავალი როგორ გესახება?

– რთული იქნება. ძალიან ბევრი ინტერესების კვეთაა საქართველოზე. მთავარია, ეძებო მეგობრები ყველგან. ვფიქრობ, ეს იქნება გამოსავალი.

– გმადლობთ.

მანანა იაშვილი

ინფორმაცია

სუფსის მიდამოებში 40 ტონა ნავთობი დაიღვარა

სუფსის მიდამოებში რელსებიდან გადავიდა ამერიკული კომპანია „შევრონი“-ს ნავთობით დატვირთული 38 ვაგონიანი შემადგენლობის ერთი ვაგონი.

გადაზიდვებს აწარმოებდნენ საქართველოს რკინიგზა და სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო, რომლებსაც დადებული აქვთ ხელშეკრულება კომპანია „შევრონთან“ ნავთობის ტრანსპორტირების თაობაზე.

მეხანძრეთა ოპერატიული ქმედების წყალობით, შესაძლებელი გახდა ვაგონიდან დაღვრილი 40 ტონა ნავთობის აალების თავიდან აცილება. ნავთობის ნაწილი ნიადაგმა შეიწოვა, ხოლო ნაწილი დიდი გუბეების სახით ნიადაგის ზედაპირზე დარჩა.

ნავთობი კი შეიცავს დიდი ოდენობით გოგირდსა და პარაფინს, რაც ადგილობრივ მოსახლეობას ეკოლოგიურ საფრთხეს უქმნის.

წინასწარი მონაცემებით, ვაგონის რელსებიდან გადასვლა გამოიწვია ცისტერნის ბორბლების გაუმართაობამ.

საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტი აცხადებს, რომ რელსებიდან გადასული ვაგონი ტექნიკურად გაუმართავი იყო და ქართული მხარე მასზე პასუხს ვერ აგებს. რადგან შემადგენლობა აღიჭურვა ნში დაკომპლექტდა.

წყაროს ცნობით, ცისტერნიდან გადმონაღვარია მხოლოდ 12 ტონა ნავთობი, რომლიდანაც 8 ტონა უკვე ამოქაჩულია ნიადაგიდან რეზერვუარებში. დეპარტამენტის წარმომადგენელთა აზრით, დაღვრილი ნავთობი არ არის ეკოლოგიურად საშიში. (იფრინდა)

საქართველოს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია ეწვევა

ძვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და შემდგომი თანამშრომლობის მიზნით, 11 თებერვალს საქართველოს ეწვევა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია ევროპის მეორე დეპარტამენტის სამხრეთის განყოფილების უფროსის ემანუელ ვან დერ მენსბრუგის ხელმძღვანელობით, რომელიც ESAF-ის მესამე წლიური პროგრამით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულებას განიხილავს.

როგორც სახ. კანცელარიასთან არსებული ეკონომიკური რეფორმების საინფორმაციო ცენტრიდან გახდა ცნობილი, მისიის მიზანია ESAF-ის ფარგლებში ტექნიკური დახმარების აღმოჩენა სახაზინო ვექსილების სრულყოფის, მეორადი ბაზრის განვითარების, ფულად-საკრედიტო ოპერაციების, საგადასახადო სისტემის განვითარების, საბუღალტრო აღრიცხვების რეფორმირების და საბანკო სისტემის რეორგანიზაციის საკითხებში. (იფრინდა)

გრიგორი ორლოვი – ეკატერინეს თაყვანისმცემელი

1759 წლის გაზაფხულზე პეტერბურგის საზოგადოებაში ბევრს ჭორაობდნენ, რომ გენერალ პეტრე შუვალოვის ადიუტანტმა, პორუჩიკმა გრიგორი ორლოვმა თავის უფროსს საყვარელი წაართვა. ოცდახუთი წლის გვარდიის პორუჩიკი მშვენიერი გარეგნობის პატრონი იყო. ცოტა ხნის წინ კი ცორნდორფის ბრძოლაში მან თავი გამოიჩინა, სამჯერ დაიჭრა, მაგრამ მაინც მწყობრში დარჩა. მოკლედ, არაფერი საოცარი არ იყო იმაში, რომ ულამაზესი ელენა კურაკინას გული მოინადირა.

ახალი პეტერბურგელი დონ-ჟუანის შესახებ ტახტის მემკვიდრის მეუღლეს ეკატერინე ალექსეევნასაც მიუვიდა ხმები და მისი ნახვა ისურვა. ახალგაზრდები ერთმანეთს შეხვდნენ. ქალბატონი ამ დროს მეტად მოწყენილი იყო მეუღლის ალერსის გარეშე. მისი ძველი საყვარელი, თავადი ალექსანდრე ავგუსტ პონიატოვსკი, ლამაზი პოლონელი, იძულებული იყო დაეტოვებინა რუსეთი. ამრიგად, გრიგორი ორლოვი დიდი თავადის ქალის საწოლში აღმოჩნდა. ქალმა კი არა მარტო დაიცვა პორუჩიკი გენერალ შუვალოვის რისხვისაგან, არამედ ეს ღარიბი კაცი სრულიად რუსეთის არტილერიის ხაზინადარად დაანიშნინა.

ასე დაიწყო ეს სიყვარული. 1762 წლის აპრილში ეკატერინე ალექსეევნას, იმ დროს უკვე იმპერატრიცას, ეყოლა შვილი, ალექსეი გრიგორის ძე, რომელსაც მიეცა გვარი და ტიტული გრაფ ბობრინსკისა. იმპერატორს, პეტრე III-ს, ეს დაუმალეს. იმპერატორს ძალიან უყვარდა ხანძრების ჩაქრობა. ჰოდა, ეკატერინეს გარდერობმაისტერმა ვასილი შკურინმა საკუთარ სახლს წაუკიდა ცეცხლი. პეტრე III ხანძრის ჩასაქრობად გავარდა. ვერც გაიგო ყერაფერი.

გრიგორი ორლოვი ამ დროს უკვე კაპიტანია. ის არა მარტო საწოლში ატკბობდა ეკატერინეს, არამედ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის საქმეებითაც იყო დაკავებული. თავისი მეფობის რამდენიმე თვის მანძილზე პეტრე III-მ თავისი მოქმედებითა და პოლიტიკით გვარდიისა და საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია. მის წინააღმდეგ შეთქმულება მოეწყო, რომელსაც სათავეში საკუთარი ცოლი და ძმები ორლოვები ედგნენ. ორლოვები ხუთი ძმანი იყვნენ, ყველანი გოლიათები და დროსტარების მოყვარულნი.

1762 წლის 28 ივნისის ადრიან დილას გვარდიის სერჟანტმა ალექსეი ორლოვმა ეკატერინე პეტერგოფიდან პეტერბურგში გადაიყვანა, იზმაილოვოს პოლკის დისლოკაციის ადგილას. გრიგორი კი მთელი ღამე პეტრეს ადიუტანტის ს.ვ.პერფილევის დათრობას უნდებოდა. მასთან დიდძალი ფული წააგო, სანამ ამ უკანასკნელმა სრულიად არ დაკარგა სიფხიზლე და არ დაიძინა. მაშინ ორლოვი ეკატერინესთან შესახვედრად წავიდა. მანვე პირველმა გამოაცხადა ეკატერინე იმპერატრიცად ყაზანის ტაძართან. დედაქალაქის ჯარები ეკატერინეს მხარეზე გადავიდნენ. შემდეგ დაიწყო სვლა პეტერგოფისაკენ. ამას მოჰყვა პეტრე III-ის მიერ ტახტზე უარის თქმა და მისი დაპატიმრება. რამდენიმე დღის შემდეგ იგი მოკლეს როპშინსკოეს სასახლეში, ალექსეი ორლოვის უშუალო მონაწილეობით.

გადატრიალების შემდგომ ორლოვებმა მონარქის წყალობა მიიღეს. მათ ებოძათ გრაფის ტიტული. გრიგორი კაპიტნობიდან პირდაპირ გენერალ-მაიორის ჩინზე წარადგინეს. ამასთან მას ებოძა გენერალ-ადიუტანტისა და ნამდვილი კამერდინერის ტიტული. 1762 წლის სექტემბერში ეკატერინე II მოსკოვში ეკურთხა მეფედ. გრიგორი ორლოვი იყო მეფედკურთხევის ცერემონიალის მთავარი მომწყობი. ამ ცერემონიალზე მან მიიღო ალექსანდრე ნეველის ორდენი ლენტით, მიწები და ყმები.

ეკატერინემ ჯერ კიდევ გადატრიალებამდე მისცა ორლოვს პირობა, რომ ცოლად გაჰყვებოდა, როგორც კი რუსეთის თვითმპყრობელი იმპერატრიცა გახდებოდა. ახლა ორლოვი პირობის შესრულებას ითხოვდა. მაგრამ ეკატერინეს აგრძნობინეს, რომ თუ ეს მოხდება, ის ტახტს დაკარგავს. ნიკიტა პანინმა, მისმა მინისტრმა, პირდაპირ უთხრა: „იმპერატრიცას რუსეთისას ძალუძს აკეთოს ის, რაც ნებავს, მაგრამ ქალბატონი ორლოვა ვერ იმეფებს“. გრიგორი ორლოვს დათმობაზე წასვლა მოუხდა...

ძმები ორლოვების ასეთი უეცარი აღმასვლა ბევრს არ მოეწონა. სამეფო კარზე ორი პარტია ჩამოყალიბდა – ორლოვებისა და პანინებისა. პირველი ეკატერინეს მმართველობის გაძლიერებას ცდილობდა, მეორე კი ორლოვების მმართველობისაგან ჩამოშორებას ესწრაფვოდა, ტახტის გადაცემა პავლე პეტრეს ძისათვის უნდოდა, ხოლო ეკატერინე მხოლოდ რეგენტობით უნდა დაკმაყოფილებულიყო. ეკატერინე წლების განმავლობაში ლავირებდა ამ ორ დაჯგუფებას შორის და ამით თავის ძალაუფლებას აძლიერებდა.

ეკატერინეს იმპერატორობის პირველი ათი წლის განმავლობაში გრიგორი ორლოვი გამუდმებით მის გვერდით იყო, მისი პირველი მრჩეველი და მეგობარი გახლდათ. იგი საკმაოდ გულღია და გონებაგახსნილი პიროვნება იყო. აი, როგორ ახასიათებს მას ინგლისის წარგზავნილი რუსეთის მეფის კარზე: „ორლოვი წესიერი ადამიანია, გულღია, გულმართალი, მაღალი გრძნობებით დაჯილდოებული და შესანიშნავი ბუნებრივი ნიჭის მფლობელი და სულ მცირე სურვილიც კი არ გააჩნია ამ ღირსებით ბრავირებისა... მან მხოლოდ უმნიშვნელო განათლება მიიღო. მას ბუნებისაგან ნაბოძები დიდი გონებრივი შესაძლებლობები აქვს და სულაც არ გამოთქვამს განსაკუთრებულ პრეტენზიებს, რასაც სხვების შესახებ ვერ ვიტყვით. იგი ბევრს და წარმატებით მუშაობდა ბოლო წლებში, რათა თავისი განათლების დონე აემაღლებინა...“

იგი დიდი ენთუზიაზმით მოეკიდა ახალი მოწყობის პროექტის კომისიის მოწვევის საქმეს. მხარი დაუჭირა ეკატერინეს ცნობილი „ბრანების“ ინიციატივას. ყველა ორლოვი კომისიის დეპუტატებად იქნა არჩეული.

კომისიის სხდომები გაიმართა 1767 წლის ივლისის ბოლოს. მოსკოვის კრემლის წახნაგოვან პალატაში ფარული არჩევნების შემდეგ კომისიის მარშლად (თავმჯდომარედ) არჩეულ იქნა გრიგორი ორლოვი. მაგრამ მან უარი განაცხადა ამ პოსტზე, განაცხადა რა, რომ „არ შეუძლია ამ კომისიის ხელმძღვანელობა მისი იმპერატორობითი უდიდებულესობისაგან დავალებული მრავალი საქმის გამო“.

გრიგორი ორლოვს ძალიან აინტერესებდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი: ქიმია, ფიზიკა, ასტრონომია. თავის საზაფხულო რეზიდენციაში მოაწყო ობსერვატორია. ვოლტერისადმი მიწერილ ერთ წერილში ეკატერინე წერს, თუ როგორ ააშენა ორლოვმა ქვის კარიბჭე, რომელსაც ყინულის ფუნდამენტი ჰქონდა. ერთხელ ეკატერინეს აჩვენა, როგორ ფეთქდება თუჯის ბომბი, როცა შიგნით წყალი იყინება.

გრიგორი ორლოვისა და მიხეილ ლომონოსოვის ურთიერთობაზე ბევრი რამ უნდა ითქვას. ლომონოსოვმა მას მიმართა თხოვნით, დახმარებოდა პეტერბურგის უნივერსიტეტის გახსნაში. მაშინ მეცნიერებათა აკადემიის გერმანული პარტიის წინააღმდეგობის გამო ამის გაკეთება ვერ მოხერხდა. ის მხოლოდ 1819 წელს გაიხსნა.

ლომონოსოვის სიკვდილის შემდეგ, 1765 წლის აპრილში, მისი მთელი არქივი ორლოვის ხელში გადავიდა. მისმა მდივანმა, გვ.კოზიცკიმ მოახდინა მთელი არქივის დალაგება და სისტემატიზირება. ამგვარად, ორლოვს უნდა ვუმადლოდეთ, რომ ლომონოსოვის არქივმა ჩვენამდე მოაღწია.

1768 წლის ბოლოს გამწვავდა რუსეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობა. იმპერატრიცას კარზე ჩამოყალიბდა აღმოსავლური პოლიტიკის საკითხების საბჭო, რომლის წევრიც გახდა გრიგორი ორლოვი. მან წამოაყენა ე.წ. ბერძნული პროექტი, რომელიც გულისხმობდა მართლმადიდებელი ბერძნების აჯანყებას თურქების წინააღმდეგ რუსეთის მხარდაჭერით, რაც ბალკანეთის ნახევარკუნძულისა და სლავი ხალხების ოსმანთა ურდოსგან განთავისუფლებას ისახავდა მიზნად. ხმელთაშუა ზღვაში გაიგზავნა რუსეთის ესკადრა ალექსეი ორლოვის მეთაურობით.

მარმარილოს ზღვაში გასვლა ვერ მოხერხდა, საფრანგეთმა და ავსტრიამ ამას წინააღმდეგობა გაუწიეს. ვერც ბერძნების აჯანყებას დაადგა საშველი. მაგრამ რუსეთის ფლოტმა დარდანელის ბლოკირება მოახდინა, რითაც ძირითადი საომარი სცენისაკენ (დუნაის მხარე) თურქების გასვლა არ ხერხდებოდა. 1770 წელს ბალტიის ფლოტმა შესანიშნავი გამარჯვებები მოიპოვა ნავარინთან და ჩესმასთან.

1771 წელს თურქებთან მოლაპარაკება ჩიხში შევიდა. ორლოვი იასაში ჩავიდა. ეკატერინემ გაამართლა მისი ნაბიჯი. მაგრამ ამ დროს ზამთრის სასახლეში გარკვეული ცვლილებები მოხდა. ეკატერინე დაიღალა გრიგორ ორლოვისა და მისი ინტიმური ღალატის შემთხვევებისაგან. თვითონ ორლოვიც დაიღალა ეკატერინესაგან. ამ დროს დედოფალს 28 წლის პორუჩიკი ალექსანდრე ვასილჩიკოვი მოუვიდა თვალში. არანაირი ტალანტით ის არ გამოირჩეოდა, უბრალოდ, ცარსკოე სელოში ყარაულში იდგა. ჯერ ოქროს სათუთუნე მიიღო ჯილდოდ იმპერატრიცასაგან „ყარაულის კარგად ხელმძღვანელობისთვის“, შემდეგ კამერ-უნკერობა. გარკვეული დროის შემდეგ იგი ხდება გრაფი, კამერგერი და ალექსანდრე ნეველის ორდენის კავალერიც კი.

ეს რომ გაიგო, ორლოვი პეტერბურგს გაფრინდა, მაგრამ გატჩინაში დედოფლის წერილი მიიღო: „თქვენ ცოტა ხნით კარანტინში უნდა იყოთ. ამისათვის საუკეთესო ადგილია თქვენი ციხე გატჩინაში“. გრაფი მიხვდა, რომ მისი კეთილდღეობა, რომელიც 11 წელს გრძელდებოდა, დასრულდა.

მთელი ინტრიგა შემდეგში მდგომარეობდა: მოახლოვდა ტახტის მემკვიდრის პავლე პეტრეს ძის სრულწლოვანების დრო და პანინის დაჯგუფებას უნდოდა ამ თარიღის აღნიშნა ეკატერინეს უფლებების შეკვეცით დაესრულებინა. მაგრამ ორლოვის მხარემ იყოჩაღა, დაასწრო, მაშინ, როცა პანინის ჯგუფმა დრო დაკარგა.

მემკვიდრე გახდა სრულწლოვანი და არაფერიც არ მოხდა. ეკატერინე ტახტზე დარჩა. მან გულუხვად დაასაჩუქრა ორლოვი – გადამრჩენი, დაწყებული ძველი ტიტულებიდან, დამთავრებული მიწებით, ყმებით და ფულით.

1773 წლის 23 სექტემბერს, ეკატერინობას, ორლოვმა დედოფალს მართლაც მეფური საჩუქარი უძღვნა – ვეებერთელა ბრილიანტი, რომელიც ადრე ნადირ-შაჰს ეკუთვნოდა. ეს ბრილიანტი შემდგომში რუსეთის მეფეთა კვერთხს ამშვენებდა.

გრიგორი ორლოვის ცხოვრებაში კიდევ ერთი ცვლილება მოხდა. ორმოცდასამი წლის ასაკში მას შეუყვარდა თავისი ბიძაშვილი ფროილაინ ეკატერინე ზინოვიევა, რომელიც მაშინ ცხრამეტი წლისა იყო. თანამედროვეთა ცნობით, ეს იყო საოცარი სილამაზისა და მგრძნობიარე გულის ქალი. 1776 წლის ივნისში არსებული კანონის საწინააღმდეგოდ, რომელიც კრძალავდა ბიძაშვილებს შორის ქორწინებას, მათ იქორწინეს. იმპერატრიცას საბჭომ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომ ქორწინება გაეუქმებინათ და ორივენი მონასტერში აღეკვეცათ. მაგრამ ეკატერინემ არ დაამტკიცა ეს ბრძანება. განაცხადა, რომ მას ხელი არ ემორჩილება იმ კაცის საწინააღმდეგო დოკუმენტზე ხელის მოსაწერად, რომლისგანაც ამდენით არის დავალებული. ეგ კი არა და, თავადის ქალი ორლოვა მან თავის სტატს-დამად დანიშნა და წმინდა ეკატერინეს ორდენიც მიანიჭა.

1777 წელს გრიგორი ორლოვი მეუღლითურთ შვეიცარიაში გაემგზავრა. შემდეგ ორი წელი ისევ პეტერბურგში ცხოვრობდნენ, ძალზე მოკრძალებულად. მათი ქორწინება ბედნიერი გამოდგა. 1780 წელს ისინი ისევ შვეიცარიაში დაბრუნდნენ. ახალგაზრდა ქალი ტუბერკულიოზით იყო ავად. 1781 წელს ის ლოზანაში გარდაიცვალა.

გრიგორ ორლოვი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, გაგიჟდა. ძმებმა მეთვალყურეობა დაუწესეს. იგი გარდაიცვალა 1783 წლის 13 აპრილს.

მის პანაშვიდს მთელი მოსკოვი ესწრებოდა. იმპერატრიცა ეკატერინემ დიდად განიცადა მისი სიკვდილი.

ვასილ მიცაროვი

ადმინისტრაციული ინსპექცია – ქალაქის «ფხიზელი თვალი»

თბილისის მერის, ბადრი შოშიტაიშვილის თქმით, ადმინისტრაციული ინსპექცია – ქალაქის „ფხიზელი თვალი“ – უნდა იყოს ის სამსახური, რომელიც მერიას ყოველდღიურად ოპერატიულ ინფორმაციას მიაწვდის დედაქალაქში არსებულ ვითარებაზე. შოშიტაიშვილის თქმით, ეს სამსახური იქნება ხიდი ქალაქის ხელმძღვანელობასა და არსებულ პრობლემებს შორის. (გეა)

მათხოვრებს დაითვლიან?

თბილისის მერიაში გამართულ ოპერატიულ თათბირზე ბადრი შოშიტაიშვილმა ისაუბრა დიდუბის რაიონის გარე ვაჭრობაზე, რომელზეც მასუხისმგებელი, მუნიციპალიტეტის კაბინეტის სხდომაზე მიღებული დადგენილებით, ბევრი სამსახურია, ამიტომ ამ საკითხის მოგვარების შეჩერებაზე პასუხს ყველა აგებს – პოლიცია, სახიტარული და კრიტერინარული სამსახურები.

ბადრი შოშიტაიშვილმა მოითხოვა ქალაქში მომრაველებული მათხოვრების ჯანაბის და სადაურობის აღრიცხვა, მისამართების დაზუსტებით. გარდა ამისა, მოითხოვა პენსიების გაცემის დაგვიანებების გამომწვევი მიზეზების შესწავლა და გამოსწორება. (გეა)

კვეზერელის მიხედვით ყველას ყველაფერი სცოდნია

გუშინდელ სასამართლო პროცესზე „ომეგას“ ყოფილმა უფროსმა, ნიკოლოზ კვეზერელმა განაცხადა, რომ სოლიკო ხაბეიშვილის მკვლელობიდან რამდენიმე დღის შემდეგ ავთანდილ იოსელიანმა მას შეატყობინა, რომ არსებული ოპერატიული მონაცემების მიხედვით, ედპ–ის ლიდერის გიორგი ჭანტურიას მკვლელობა თემურ ხაჩიშვილს, ხოლო სოლიკო ხაბეიშვილის მკვლელობა კი გიგა ბელაშვილის მოწყობილი იყო.

კვეზერელისვე თქმით, 29 აგვისტომდე ერთი თვით ადრე მისმა უფროსმა, ელდარ გოგოლაძემ მას შეატყობინა, რომ სახელმწიფოს მეთაურზე მზადდებოდა ტერორისტული აქტი და რომ მას ხელმძღვანელობდნენ იგორ გიორგაძე და ჯაბა იოსელიანი. (გეა)

რევაზ ყიფშიანი:
განსასჯელებს ერთმანეთის ეშინიათ და ამიტომ ტყუიან

გეა-ს კორესპონდენტი მარიამ გურიელი ესაუბრა გენერალური პროკურორის პირველ მოადგილეს, რევაზ ყიფშიანს:

– როგორც ცნობილია, წინასწარი გამოძიების დროს განსასჯელები იზოლატორში რუსმა სამართალდამცველმა, სერგეი კოვალიოვმა და ადამიანის უფლებების დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციების სხვა წარმომადგენლებმა მოინახულეს. მაშინ ცუდი მოპყრობის შესახებ განსასჯელებს მათთვის არაფერი უთქვამთ. თქვენი აზრით, მიმდინარე სასამართლო პროცესზე ყველა ბრალდებულმა რატომ შეცვალა წინასწარი გამოძიების დროს მიცემული ჩვენებები?

– თბილისში ყოფნისას სერგეი კოვალიოვი ჩემთან მოვიდა პარლამენტარ კახა ჩიტაიასთან ერთად და მოულოდნელად მთხოვეს შეხვედრა „მხედრიონის“ ყოფილ ლიდერთან, ჯაბა იოსელიანთან. მე მაშინვე ვუპასუხე, რომ მათ ყველას ნახვის უფლება ჰქონდათ, ვისთან შეხვედრასაც მოისურვებდნენ. დასამალი არაფერი მქონდა, რადგან გამოძიება კანონიერ ფარგლებში მიმდინარეობდა.

– და მაინც, რატომ შეცვალეს განსასჯელებმა მათ მიერ ადრე მიცემული ჩვენებები?

– მათი ბრალდებები იმ დროისათვის სიკვდილით დასჯას ითვალისწინებდა. „სიმართლეს თუ ვიტყვით, მაინც დაგვხვრეტენ?“ – ასეთ კითხვაზე ჩვენ ვერ ვუპასუხებდით, რადგან სასჯელის უმაღლესი ზომა სასამართლოს პრეროგატივაა. მაგრამ ჩვენ შევეპირდით, რომ სახელმწიფო ბრალმდებელი სასამართლოს წინაშე იშუამდგომლებდა იმ მოტივით, რომ ის ადამიანები, რომლებიც ბოლომდე გულახდილები იყვნენ, ღირსნი არ იყვნენ სასჯელის მაქსიმუმისა. მაგრამ მას შემდეგ, რაც საქართველოში სიკვდილით დასჯა გაუქმდა, ისინი დარწმუნდნენ რა რომ მაღალ სასჯელს მაინც მიიღებენ, ჩვენებები გადათქვეს.

გარდა ამისა, განსასჯელები ერთად იმყოფებიან და ყოველდღიურად ახერხებენ მოლაპარაკების იმის თაობაზე, რაზე ილაპარაკონ სასამართლო პროცესის დროს. ამის მოწმეა ყველა, ვინც პროცესს ესწრება. განსასჯელები თავისუფლად საუბრობენ და გალიებიდან ერთმანეთს კარნახობენ, ვინ რა უნდა თქვას. სასამართლო პროცესი ასე არ უნდა მიმდინარეობდეს. განსასჯელებს გადალაპარაკების საშუალება არ უნდა ჰქონდეთ.

გარდა ამისა, ისინი ერთად არიან და ერთმანეთის ეშინიათ. ცალ–ცალკე რომ იყვნენ, უფრო მეტს იტყოდნენ.

თავის დროზე, როცა ისინი ჩვენებებს გამომძიებლებს აძლევდნენ, შეძლებისდაგვარად გულახდილად ლაპარაკობდნენ, ახლა კი დავობენ: შენ „ჩამიშვი“ – არა, შენ „ჩამიშვიო“. დაპირისპირების დროს მათ ჩვენებები არ უარყვიათ, უბრალოდ, დეტალებს აზუსტებდნენ.

სრულებითაც არ არის გასაკვირი, რომ ადამიანებმა, რომლებიც არაერთხელ ყოფილან გასამართლებულნი სხვადასხვა მძიმე დანაშაულისთვის და სასამართლოში თავდაცვის პრაქტიკას არიან დაუფლებულნი, რომლებსაც დაზეერვაში უმუშავიათ და შეხება ჰქონიათ უცხოეთის სპეცსამსახურებთან და ათასი ხერელი იციან, მშვენივრად მოიტყუონ ისე, რომ ამ დროს არც ერთი დამსწრე არ დაეჭვდება მათ სიმართლეში.

– რა მოხდება, სასამართლო პროცესის დროს ერთ–ერთმა ბრალდებულმა მაინც რომ აღიაროს დანა–შაული?

–კანონით გათვალის–წინებულია, რომ გულახდილი აღიარება სასჯელს ამსუბუქებს. თუ ისინი სასამართლოზე გულწრფელნი იქნებიან, პროკურორი და, რაც მთავარია, სასამართლოს შემადგენლობა ამას უყურადღებოდ არ დატოვებს. მაგრამ ისინი, როგორც ჩანს, აღიარებას ვერ შეძლებენ, რადგან ერთმანეთის მხილების ეშინიათ. ამავე დროს, ლიდერები შედარებით პატარა როლების შემსრულებლებს, თუმცა მკვლელობათა აღმსრულებლებს, ემუქრებიან.

გარდა ამისა, იშვიათი არაა შემთხვევა, როდესაც პატიმარი ცდილობს სახალხოდაც გულახდილი იყოს, მაგრამ მკვლელობათა აღიარებას მაინც ერიდება, რადგანაც სასამართლო დარბაზში მყოფი საზოგადოების, რაც მთავარია, დაზარალებულთა რისხვის ეშინია.

– რატომ ამტკიცებენ განსასჯელნი, რომ მათ წინასწარი გამოძიების დროს სცემდნენ და ჩვენებებს სხვადასხვა მეთოდებით გამოსძალავდნენ?

– ვერც ერთი მათგანი ვერ იტყვის, რომ რომელიმე გამომძიებელი ან პროკურორი მათ თითით მაინც შეეხო. ვერც იკადრებს ასეთი რამის თქმას, თუ ცოტა ნამუსი მაინც შერჩენია. არავინ დაუჯერებს, რომ გამომძიებლები გიგლა აგულაშვილი, კობა ნარჩემაშვილი და გულბაათ ბესიაშვილი განსასჯელებს აწამებდნენ. ამას უბრალოდ არავინ გაიზიარებს, არ იწამებს.

არც პროკურორი, არც გამომძიებელი არ დაუშვებდნენ, რომ მათთან ნაცემი პატიმარი მიეყვანათ. პირიქით, პროკურორი იმას ადევნებს თვალს, რომ განსასჯელს ხელი არავინ ახლოს. პროკურატურა ზედამხედველობას უწევს თავისუფლების აღკვეთის ადგილებს და თუ აქვს ადგილი სამართალდარღვევას, მაშინვე რეაგირებს.

როგორ შეეძლო გამომძიებელს ეხელმძღვანელა არასწორი ჩვენებებით, თუ ეცოდინებოდა, რომ ბრალდებული ტყუილს „აღიარებდა“, იგი ხომ იქნებოდა დარწმუნებული, რომ ხვალ–ზეგ ნამდვილი დამნაშავე გამოჩნდებოდა.

– რა შეგიძლიათ თქვათ თემურ ხაჩიშვილის განცხადებასთან დაკავშირებით იმის თაობაზე, რომ მასზე ზემოქმედებდნენ ფსიქო–ტრონული საშუალებებით?

– ასეთი წამლები ჩვენთვის არ არსებობს. თუ ხაჩიშვილი, როგორც მისი ჩვენებების ჩანაწერებიდან ჩანს, დაკითხვისას არჩევდა იმას, რა ეთქვა და რა არ ეთქვა, ეს იმაზე მეტყველებს, რომ იგი მაშინ მშვენიერად გრძნობდა თავს და მოფიქრების საშუალება ჰქონდა. ის ხომ ყველაფერს მაინც არ აღიარებდა და ბოლომდე გულწრფელი არ იყო.

– რატომ ადანაშაულებენ განსასჯელები ყველაფერში შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრს, შოთა კვირაიას და გენერალურ პროკურორს, ჯამლეთ ბაბილაშვილს?

– ისინი ყველაფერს კვირაიას იმიტომ აწერენ, რომ მან დააპატიმრა ისინი, ხოლო ბაბილაშვილმა დაპატიმრების სანქციები გასცა. ამასთანავე ხაჩიშვილმა ბაბილაშვილთან საუბრისას ძირითადად აღიარა დანაშაული, რაც მისივე ინიციატივით მოხდა და რა შუაშია აქ გენერალური პროკურორი?

– თუ ყოფილა პრაქტიკაში შემთხვევა, რომ ბრალდებულს არ ელიარებინოს დანაშაული. ან სხვა პირები არ ემხილოს რამე მძიმე დანაშაულში და მისი ოჯახი ამოწყვიტოთ?

– სასამართლოს შეუძლია მოითხოვოს სამართალდამცავი ორგანოებიდან და მიიღებს ამომწურავ პასუხს, რომ 40–50 წლის განმავლობაში (ეს, რაც ჩემი მუშაობის პერიოდს ეხება) არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, პატიმარს წინასწარ გამოძიებაში რომ მძიმე დანაშაულში არ ელიარებინოს ან არ ემხილოს სხვა დამნაშავე და სამართალდამცავებს ან სხვა ვინმეს მათი ოჯახი დაეხოცათ, ამოეწყვიტათ. რაც შეეხება ფსიქოტრონულ ზემოქმედებას და რაღაც ნემსების გაკეთებას, რატომ ჯაბა იოსელიანის, ნიკა კვეზერელის, ან თემურ ქურდიანის მიმართ არ განახორციელეს შსს–ს მუშაკებმა, თუ ასეთი შეეძლოთ? როგორ, მათი აღიარება არ სჭირდებოდათ? მით უფრო ჯაბა იოსელიანის? ესაა ლოგიკა? აზროვნება? რეალური მსჯელობა? რომელი ჭკუათმყოფელი კაცი დაიჯერებს ამას, გარდა დაინტერესებული პირისა?

კიტოვანს დამატებითი გამოკვლევები ჩაუტარდა

გუშინ ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში საქართველოს თავდაცვის ყოფილ მინისტრს, თენგიზ კიტოვანს დამატებითი გამოკვლევები ჩაუტარეს – თქვა სასჯელის აღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ სამედიცინო დარგში, ჯემალ ქარუმიძემ.

როგორც ცნობილია, ორი დღის წინ თენგიზ კიტოვანს, რომელიც ციხის საავადმყოფოში ავეჯალის კოლონიიდან გადაიყვანეს, მესამე სტენოკარდიული შეტევა დაემართა. ქარუმიძის ინფორმაციით, „შესახედავად კიტოვანი ნორმალურად გამოიყურება, მაგრამ ზუსტ დიაგნოზს გაფართოებული კონსილიუმი დადგენს, რომელიც ხუთშაბათს გაიმართება“.

გუშინ კიტოვანი საავადმყოფოში საქართველოს უშიშროების საბჭოს წევრმა, რუსუდან ბერიძემ მოინახულა. (გეა)

დელეგაცია ენგურჰესზე მივემგზავრება

10 თებერვალს თბილისიდან ენგურჰესზე გაემგზავრება „საქენერგოგენერაციის“ 4 წარმომადგენელი და ევრობანკის 2 ექსპერტი.

აღნიშნული ვიზიტის მიზანია ენგურჰესის მომავალი სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად ტექნიკური დეტალების დაზუსტება, რისთვისაც უკვე მზადაა ტექდოკუმენტაცია, ხოლო პრაქტიკული სამუშაოების დაწყება 1999 წლისათვის არის დაგეგმილი.

წყაროს ინფორმაციით, საქართველოს მთავრობამ არძინბას ხელისუფლებას ხელმოსაწერად გაუგზავნა მემორანდუმი „ენგურჰესის სარეაბილიტაციო სამუშაოების უსაფრთხოდ ჩატარების ორმხრივი გარანტიების შესახებ“.

მემორანდუმს უკვე მოაწერა ხელი აფხაზთა პრემიერ–მინისტრმა სერგეი ბაგაფშმა. ქართული მხარე აღნიშნულ დოკუმენტს სავარაუდოდ 11 თებერვალს მოაწერს ხელს. (იფრინდა)

რუსეთმა 20-იანი წლების სცენარის დადგმა დაგეგმა

სომხეთის პრეზიდენტის ლევონ ტერ–პეტროსიანის გადადგომის კომენტირებისას, ექსპერტები აღნიშნავენ, რომ სომხეთში შექმნილი ვითარება ამიერკავკასიაში 20–იან წლებში მომხდარ მოვლენებს გვახსენებს.

ექსპერტთა აზრით, სომხეთში ხელისუფლების შეცვლა რუსეთის სპეც–სამსახურის უშუალო ჩარევით მოხდა და გამორიცხული არ არის, რომ რუსეთი შეეცდება გაამწვავოს ვითარება აზერბაიჯანსა და საქართველოში. ექსპერტები რუსეთის აღნიშნულ ქმედებას იმით ხსნიან, რომ მას არა აქვს სურვილი დაუთმოს დასავლეთს ამიერკავკასია და მთლიანად კავკასია. რუსეთს ეშინია რეგიონში დასავლეთის კაპიტალის გავრცელების, რამაც შეიძლება კავკასიაში მისი გავლენის საბოლოო დაკარგვა გამოიწვიოს. სომხეთში რუსეთის მსგავსმა ქმედებებმა უკვე გამოიწვიეს რიგი კრიტიკული გამოსვლები დასავლეთის ქვეყნებში, რადგან კავკასიაში მდგომარეობის დაძაბვის მცდელობა საფრთხეს უქმნის ტრასეკ–ს პროექტს და კასპიის ნავთობის ტრანსპორტირებას. რეგიონში ვითარების ესკალაცია და ამიერკავკასიის დანარჩენ ორ სახელმწიფოში ხელისუფლების შეცვლა რუსეთს საშუალებას მისცემს არა მარტო ხელახლა აღადგინოს თავისი გავლენა ამიერკავკასიაში, არამედ შეეცადოს აიღოს რევანში ჩეჩნეთში.

ექსპერტები თვლიან, რომ ზემოთ აღნიშნული სცენარით მოვლენების განვითარების შემთხვევაში, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება საქართველო და მისი ლიდერი, რადგან სწორედ საქართველო წარმოადგენს რუსეთისათვის განსაკუთრებულ ინტერესს, როგორც უნიკალური გეოპოლიტიკური მდებარეობის მქონე სახელმწიფო. უფრო მეტიც, სწორედ საქართველოს ხელისუფლებაზე ზეწოლის ბერკეტები გააჩნია რუსეთს. კერძოდ, ცხინვალის რეგიონი, აფხაზეთი და სხვა.

საკითხავია, შესძლებს თუ არა დასავლეთი კავკასიის ინტერესების დაცვას, თუ როგორც ეს უკვე იყო ისტორიაში, დატოვებს მას ერთი–ერთზე რუსეთთან? (იფრინდა)

განცხადებები

იყიდება კერძო ბინა მახინჯაურის ქუჩაზე მუხის კარ-ფანჯრით, მუხისავე პარკეტით 200 კვ.მ. ეზოთი. ყველა პირობებით. სულ 14 ოთახი. დაწვრილებითი ცნობებისათვის დარეკეთ 66-77-94 ნინა

იყიდება 4 ოთახიანი არასტანდარტული 126 კვ.მ ფართის ბინა გაგარინის №14 ახალი აგურის კორპუსის VIII სართულზე. საკუთარი შუქით, საკუთარი გათბობით და ცხელი წყლით. სარდაფით, ტელეფონით. დარეკეთ 96-61-10 მაყვალა

იყიდება ვაკეში 2 სართულიანი სახლი ფართი 210 კვ.მ 1500 კვ.მ ეზოთი და ეზოში. ერთოთახიანი ბინით 25 კვ.მ ფასი ორასი ათასი დოლარი ან ცალკე იგივე ეზო ერთოთახიანი ბინით ფასი 100 ათასი დოლარი.

ტელ. 29-21-75

ვიყიდი ამერიკული აპარატის „მედისენსის" ტესტ-ჩხირებს. ტელ. 52-53-29 (14 სთ-იდან)

გაგიწევთ ტურისტულ მომსახურეობას საბერძნეთში, ისრაელში, ამერიკაში, ავსტრალიაში, გერმანიაში. გთავაზობთ ბიზნესტურს იტალიაში. ტელ. 92-05-41; 39-81-91; 95-88-40 საღამოს. ჭოველიძის 10

ყველას, ვისაც გაგჩენიათ კბილებზე პრობლემა, მოგვმართეთ სტომატოლოგიურ კლინიკაში „ნიუდენტი". თქვენს კბილებზე იზრუნებენ და მაღალ დონეზე მოგემსახურებიან გამოცდილი სტომატოლოგები. მის. გაგარინის მოედანი, კანდელაკის 9, ტელ. 37-23-63

იყიდება მიწის ორი ნაკვეთი. ფასი შეთანხმებით. ტელ. 72-15-01

იყიდება საგურამოსთან „ბურიანსი" ორსართულიანი სახლი მანსარდით 600 კვ.მ ეზოთი, ხეხილით. ფასი 4000$ ტელ. 36-45-00 ზურა ან ნანა

ვაქირავებ 1 ოთახიან ბინას სოლოლაკში ტელეფონით. ფასი 60$ ტელ. 98-56-82

ვამზადებ აბიტურიენტებს ისტორიაში სახლში მისვლით. ფასი შეთანხმებით. ტელ. 95-86-04

მოვამზადებ თურქულ ენაში ყველა მსურველს. ტელ. 96-99-72

კემბრიჯის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ამზადებს ნებისმიერი ასაკის მსურველს ინგლისურ ენაში აუდიო-კასეტების თანხლებით. ფასი ხელმისაწვდომია. ტელ. 99-59-07; 23-54-59 ქალბატონი ნანა

იყიდება გერმანული აკორდეონი. ფასი 70 ლარი. ტელ. 98-38-98 ლალი

„კვირაიას იარაღიანი ხელი დავუკავეთ"

ჯაბა იოსელიანისა და სხვათა გუშინდელ სასამართლო პროცესზე დაიწყო სპეცდანიშნულების რაზმ „ომეგა"-ს ყოფილი უფროსის ნიკა კვეზერელის ჩვენებების მიცემა.

„ომეგა" აშშ-ს შესაბამისი სტრუქტურების უშუალო მონაწილეობით შეიქმნა. რაზმის ყველა მებრძოლმა აშშ-ში გაიარა სწავლება. ექსპერტები თვლიან, რომ „ომეგა" გახდა ე.წ. „განხეთქილების ვაშლი" აშშ-სა და რუსეთს შორის, ხოლო მისი წევრები – პოლიტიკური თამაშის მსხვერპლნი.

კვეზერელი 1992 წლიდან სახელმწიფოს მეთაურის პირად დაცვაში მუშაობდა, 1993 წლის მარტიდან იგი სტაჟირებაზე გააგზავნეს ამერიკის შეერთებულ შტატებში, 1994 წლის აგვისტოდან კი „ომეგა"-ს უფროსად აირჩიეს. აღნიშნული შეიარაღებული ჯგუფის ძირითადი დანიშნულება იყო მძევალთა გათავისუფლება და სახელმწიფოს მეთაურის დაცვა განსაკუთრებულ შემთხვევებში.

კვეზერელის განცხადებით, ამერიკიდან ჩამოსვლის შემდეგ „ომეგა"-ს მებრძოლები მთელი რიგი პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ. კერძოდ, მათ არ ჰქონდათ ხელშემწყობი პირობები სავარჯიშოდ და ელემენტარულად არ გააჩნდათ კვების თანხები. ამასთან ადგილი ჰქონდა თვითმფრინავის ჰაერში აფეთქების მცდელობას, კერძოდ, მათ სურდათ გაენადგურებინათ ის თვითმფრინავი, რომელსაც აშშ-დან „ომეგა"-ს კუთვნილი იარაღი მოჰქონდა.

„ომეგა" ძირითადად ასრულებდა უშიშროების სამინისტროს ნარკობიზნესთან და ტერორიზმთან მებრძოლი ცენტრის უფროსის ელდარ გოგოლაძის დავალებას.

კვეზერელი დაპატიმრების ერთ-ერთ მიზეზად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ იგი გახდა უშუალო მოწმე ზუგდიდში მომხდარი მკელელობებისა: „1993 წელს, როდესაც „ომეგა"-ს ჯგუფის წევრებმა ალყა შემოარტყეს სახლს, სადაც იყვნენ შეიარაღებული პირები, შოთა კვირაიაც იქ იმყოფებოდა, და თავისი ტაბელური იარაღით დაიწყო სროლა იქ მყოფი ხალხის მიმართულებით, იგი ძირითადად თითებში ესროდა. ამ ფაქტმა აღმაშფოთა და კვირაიას იარაღიანი ხელი დაეუკავე, რის გამოც პისტოლეტში დარჩენილი ტყვიების გასროლა მოხდა იატაკის მიმართულებით. არ ვიცი, კვირაია რა მდგომარეობაში იყო, ის კი დავაფიქსირე, რომ იმ დროს სრულიად გათიშული იყო. მოგვიანებით გავიგონეთ საპასუხო სროლა გვერდითა სახლიდან და ამის გამო იქით გადავინაცვლეთ. ადგილზე დავტოვე მხოლოდ ოთხი მებრძოლი. როცა დავბრუნდი, შემზარავი ფაქტის მხილველი გავხდი. ყველა მათგანი დახოცილი იატაკზე ეყარა. როგორც იქვე შევიტყვე, შოთა კვირაიას ერთ-ერთი მათგანისათვის იარაღი წაურთმევია და მათთვის უსვრია. ეს ყველაფერი მოვახსენე სახელმწიფოს მეთაურს. ჩემი აზრით, იქ მყოფი „ომეგა"-ს წევრებიც დამნაშავენი არიან, რადგან მათ ვერ შეძლეს კვირაიასათვის წინააღმდეგობის გაწევა".

ბრალდებულის განცხადებით, 1995 წლის 29 აგვისტოს ტერ-აქტამდე რამდენიმე დღით ადრე ელდარ გოგოლაძემ აცნობა, რომ ქვეყნის პოლიტიკური ვითარების გართულების გამო, საპრეზიდენტო არჩევნებამდე შესაძლოა მოეწყოს თავდასხმა სახელმწიფოს მეთაურზე, რომელშიც უშუალო მონაწილეობას მიიღებდა უშიშროების მინისტრი იგორ გიორგაძე და „მხედრიონის" ლიდერი ჯაბა იოსელიანი.

კვეზერელი აცხადებს, რომ შევარდნაძე ინფორმირებული იყო მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ. მისივე თქმით, როდესაც კვეზერელი თავის უფროსთან ელდარ გოგოლაძესთან ერთად წავიდა რესპუბლიკურ საავადმყოფოში, სადაც იმყოფებოდა პრეზიდენტი, დადგა საკითხი მეთაურის დაცვის ქვეშ აყვანისა, მაგრამ ისინი უარით გამოისტუმრეს: „საკმარისია, აღარ გვინდა დამხმარე ძალა". ფაქტობრივად კი პრეზიდენტის დაცვა განსაკუთრებულ შემთხვევაში „ომეგა"-ს ჯგუფს ევალებოდა.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, დაიწყო კვლევა-ძიება, ამასთან საქართველოში პირველად შეიქმნა რეიჯერთა სკოლა.

ბრალდებული გოგა გელაშვილმა გააფრთხილა, რომ დააპატიმრებდნენ და ჭანტურიასა და 29 აგვისტოს ტერაქტში მონაწილეობაში დასდებდნენ ბრალს. 17 სექტემბერს კვირაიამ დაიბარა იგი შს სამინისტროში და ამავე დღეს იგი უკანონოდ იქნა დაპატიმრებული ადმინისტრაციული წესის დარღვევისათვის.

ეკა ლებანიძე

ოჰ, ეს მაოხრებელი გზირი

მეშვიდე გვერდიდან

ცალკე ერად გამოყოფდა?

იგი იბრძოდა იმისათვის, რომ თბილისი არ გადაქცეულიყო ნამდვილ ქართულ ქალაქად: „თბილისი საქართველოს დედაქალაქია, მაგრამ აქ ქართველების 30%-ია, სომხები არანაკლებ 35%, მერე მოყვებიან ყველა დანარჩენი ეროვნებანი. გათვალისწინებული იყო მოსახლეობის ერთგვარი გადანაცვლება მოუხდინა, ისე, რომ სომხები წლითიწლობით ნაკლები აღმოჩენილიყვნენ თბილისში, ვიდრე ქართველები და ამრიგად თბილისი გადაექცეოთ ნამდვილ ქართულ ქალაქად". (ტ. 5 გვ. 280).

იგი შეწუხებულია იმითაც, რომ საქართველოს ამიერკავკასიის რესპუბლიკებთან თავისი გეოგრაფიული პირობებით გარკვეული უპირატესობა ჰქონდა, ამიტომ ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ საქართველო შესულიყო ამიერკავკასიის ფედერაციაში, რათა არ ესარგებლა თავისი გეოგრაფიული უპირატესობით.

საინტერესოა ნოე ჟორდანიას დახასიათება: „ქართველმა თხამ [illegible] ლათვები დაჭამა, ის, რაც ვერასოდეს [illegible] საქართველოში, ჩინებულად მოაჭახრაკა რუსეთში... მის წინააღმდეგ [illegible] მოსკოვში ვინმე ორგანიზატორი, მსგავსი ნ.ხომერიკისა და [illegible] ისე დამარცხდებოდა, როგორც [illegible] ემიგრანტები, და [illegible] ქვეყანაში ქართული კატა აყეფდა".

სამწუხაროდ, სტალინის ყველა შეცდომა რუსებმა მისი ქართველური წარმომავლობით ახსნეს და მასთან ერთად აგინეს და აგინებენ მის გამო მთელ ქართველ ერს (ამიტომ ყველა ქართველი უპირატესად უნდა ემსახურებოდეს საკუთარ ერს).

ნ.ნათაძე ერთ თავის ნაშრომში აღნიშნავს: „არც თემურ ლენგს, არც მურვან ყრუს, არც შაჰ-აბასს, ერთად აღებულს არ მოუტანია იმდენი ზიანი საქართველოსთვის, რაც სტალინმა მოუტანა". დიდი ხანი არ არის, რაც გალაკტიონის არქივში იპოვეს ლექსი

... მიწა რამ გააწითლა, ზეცა რამ გააშავა... ვინ არის რომ ამდენი სისხლი რომ დააქცია, ვინ არის რომ ედემი უდაბნოდ რომ აქცია, სტალინის სამშობლო სისხლისფერად მოხატა, სტალინია ქართველ ერს სული რომ ამოხადა...

ლევან სანიკიძე თავის წიგნში „III დასის საქართველო" აღნიშნავს, თუ როგორ იბრძოდა სტალინი ყოველივე ქართულის წინააღმდეგ.

1917-18 წწ-ში მოსკოვში მცხოვრებმა ქართველებმა ჩამოაყალიბეს „მუშათა კლუბი", რომელიც ეწოდა საქველმოქმედო, საგანმანათლებლო მუშაობას. კლუბი თეატრად აქციეს, იკითხებოდა ლექციები ლადო მესხიშვილის მონაწილეობით. თეატრი ხალხს ველარ იტევდა – ეს კი მეტისმეტი აღმოჩნდა, პოპულარობა თავხედობად შეფასდა და ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, ქართული კლუბი მთავრობის სახელით გააუქმეს. სომეხ-თათართა სათეატრო დატოვეს, ქართული კი გააუქმეს (ლ.სანიკიძე ასკვნის: – „ის, რაც მოსათმენი იყო რუსების, რომიანკოს, ლევოისა და კერენსკისათვის, მოუთმენელი და [illegible] ეროვნულ [illegible] ეროვნულ [illegible] ეროვნულ